

January
February
March

Pavilion of Georgia

18th International Architecture
Exhibition – La Biennale di Venezia

Tbilisi Architecture Biennial

EXHIBITION DATES:
May 20 – November 26, 2023

INAUGURATION:
May 19, 5 p.m. – 10 p.m.

WORKING HOURS:
Preview: May 18-19, 11 a.m. – 8 p.m.
from May 20 to September 25 11:30 a.m. – 7:30 p.m.
from September 26 to November 26 10:30 a.m. – 6:30 p.m.
Closed on Tuesdays

GA GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV • art review 07.2023

11

-----ARCHITECTURE – CURRENT TIMES AND PERSPECTIVES FOR FUTURE-----

შინაარსი content



PRESENTS

ინტერვიუ	4
თბილისის არქიტექტურის ბიენალე. საუბარი ოთარ ნემსაძესა და გივი შუკაკიძესთან	
ინტერვიუ არქიტექტორ ნიკოლოზ ლავკვიშვილთან	14
ინტერვიუ არქიტექტორ ნინო ჩახჩიანიანთან	20
მიწის არქიტექტურა. ინტერვიუ გივი ჯაყელთან	28



PRESENTS

INTERVIEW	10
TBILISI ARCHITECTURE BIENNIAL - In conversation with	
GIGI SHUKAKIDZE & OTAR NEMSADZE	
In conversation with architect NIKOLOZ LEKVEISHVILI	17
In conversation with architect NINO TCHATCHKHIANI	24
EARTH ARCHITECTURE - In conversation with GUIVI JAKELI	32



PRESENTS

ინტერვიუ დისკუსია	36
ინტერვიუ ექსპერტებთან ნატალია ნებერიძე, თათა გაჩეჩილაძე თბილისის მონუმენტული სივრცის გვანტა ბერძენიშვილი	46



PRESENTS

HISTORICAL DISCOURSE	41
TBILISI INDUSTRIAL HERITAGE NATALIA NEBIERIDZE & TATA GACHECHILADZE	
PAINTED ENTRANCE HALLS OF TBILISI GVANSTA BERDZENISHVILI	50



PRESENTS

ქსე	53
პროექტი კიბე თომას იბრაჰიმი	
IDAAF - ნანუკა ჯაჭიანი	58
ქველ თბილისში მიმდინარე პროექტები ვენეციის ქარტილის შუქვა კატო ყარსელიანი	68



PRESENTS

ESSEY	56
PROJECT KIBE Thomas Ibrahim	58
IDAAF - Nanuka Zaalishvili	58
ONGOINGS OF OLD TBILISI IN LIGHT OF THE VENICE CHARTER - Kato Karselishvili	72



PRESENTS

ხელოვნებათმცოდნის ბლოგი	76
ვენეციის არქიტექტურის ბიენალე 2023. საქართველოს პავილიონი. იანვარი, თებერვალი, მარტი მარიამ შერგელაშვილი	



PRESENTS

BLOG BY ART HISTORIAN	80
VENICE ARCHITECTURE BIENNIAL 2023: GEORGIAN PAVILION JANUARY, FEBRUARY, MARCH Mariam Shergelashvili	



PRESENTS

წარდგენა - უახლესი ინიციატივები	84
თბილისის არქიტექტურის არქივი	
არქიტექტურის დაბრუნება #3 დამიტი შუკაკიძე	90
შორისდებუნი დავით ბერიძე	96
ალექსანდრე გაჩეჩილაძე	102
პროექტი შახტა დავით ბროდსკი	107
კვლევითი ინიციატივები თინათინ ცურკავა	107
გააქტიურებთ თბილისს	113



PRESENTS

ZE GAVLENA REPRESENTS - CURRENT INITIATIVES	87
Tbilisi Architecture Archive	
Laboratory of Architecture #3 Dimitri Shapakidze	93
Shorisdebuli Davit Beirishvili, Aleksandre Gachechiladze	99
Project Shakhta David Brodsky	105
Platform Rakursi Tinatin Tsurkava	110
Revive Your Neighborhood	117

TAB ინსტრუქცია

თბილისის ბიენალის თანადამფუძნებლებთან

არქიტექტორი - ოთარ ნემსაძე
არქიტექტორი - ბიზი შუკაია



თბილისის არქიტექტურის ბიენალე. დაარსების ისტორია

ოთარ ნემსაძე:

თბილისის არქიტექტურის ბიენალე დაარსდა 2017 წელს. იმ პერიოდში არ არსებობდა სივრცე, სადაც შეიძლება განხილულიყო არქიტექტურული და ურბანული თემები. სივრცის არარსებობამ მიგვიყვანა ამ იდეამდე. თავდაპირველად, მცირე მასშტაბიან, რამდენიმე დღიან არქიტექტურულ ფესტივალზე ვფიქრობდით, მაგრამ თანდათან გამოიკვეთა საჭიროებები და პირველივე ღონისძიება საკმაოდ მასშტაბური ხასიათის იყო.

ბიენალეს მთავარი მხარდამჭერი საწყისი ეტაპიდან დღემდე არის ევროკავშირი და აქედან გამომდინარე, ეს თავიდანვე გვაძლევდა კონცენტრირებას და მიმართულებასაც, რომ პარტნიორებთან ერთად გვემუშავა. სწორედ ამ ფორმატში განვითარდა ბიენალეს პლატფორმა, რომელიც თბილისზე კონცენტრირებით, მაგრამ არამხოლოდ ლოკალურად, განიხილავდა სხვადასხვა აქტუალურ თემას. თავიდანვე არ გვსურდა რომ ეს ყოფილიყო მხოლოდ არქიტექტორებისთვის, პირიქით, ჩვენი სურვილი იყო რომ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთან ერთად გვემუშავა, ფსიქოლოგთან, ანთროპოლოგთან.

ბიენალეს თავდაპირველი დამფუძნებლები არიან: გიგი შუკაკიძე, ოთარ ნემსაძე, თინათინ გურგენიძე, ნათია კალანდარიშვილი. მუშაობის სტრუქტურა კი ეფუძნება ყოველთვის განსაზღვრული თემის გარშემო ღია კონკურს და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად სადისკუსიო, თეორიული და პრაქტიკული პროექტების განხორციელებას.



რა არის ის ძირითადი თემატიკა, რასაცა თბილისის არქიტექტურის ბიენალე აზუსტავს

გიგი შუკაკიძე:

ამ წლების მანძილზე კონცეფციები, რომლებსაც ვეხებით და ვამუშავებთ ერთმანეთის ლოგიკური გაგრძელებაა. ამოსავალი წერტილი რისი განვრცობაც თავიდან გადავწყვიტეთ იყო უახლესი წარსული და პოსტსაბჭოთა რეალობა. ვერძოდ, დავინწყეთ არაფორმალურ არქიტექტურაზე დაკვირვება, რამდენადაც ყველაზე სიმბოლურად და ფიზიკურადაც არაფორმალური არქიტექტურა ასახავს სისტემის შემდგომ და სისტემის დროს ფორმას და შინაარსებს. მაგალითად, სისტემის ფარგლებში იკვეთება გარკვეული სტატიკური მიმართება და როგორ შეიძლება რომ ეს სიტემის დანგრევის შემდეგ სრულიად სხვა, თავისთავადი დინამიკით ჩამოყალიბდეს? ამ საკითხთან დაკავშირებით არაფორმალური არქიტექტურის კვლევა დავუკავშირეთ ადამიანების თვითგამოხატვის საკითხსაც - არაფორმალობა როგორც მეთოდი. ამ პროცესში ჩვენთვის მთავარი გახდა დაკვირვება შენობებსა და შენობების მოდიფიცირებულ წარმონაქმნებზე. გლდანი გახდა ინსპირაცია და ეს უბანი გამოვყავით, რადგან იმ პერიოდში ჩვენი გუნდის წევრი და თანაკურატორი თინათინ გურგენიძე ამუშავებდა თავის სადოქტორო კვლევას სწორედ გლდანზე. თვითონ ამ უბნის ექსპერიმენტული, ე.წ. „აპენდიქს“ დაგეგმარებაც საინტერესო იყო. ეს იყო მიკრო-რაიონი, რომელსაც შეეძლო თავის ცენტრი ჰქონოდა და თვითმარი ყოფილიყო, ე.წ. ქალაქთან ქალაქი. ასეთი „აპენდიქს“ უბანი დაკვირვების მხრივ საგულისხმო გახდა იქაური მაცხოვრებლების სემენტითაც. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად ძველ თბილისში დაზარალებული ადამიანები არიან, რომლებიც აქ გადმოიყვანეს ან რეგიონიდან ჩამოსული ინდუსტრიულ თუ აგრო წარმოებაში მომუშავე პირები. ურბანული გამოცდილება

ისედაც არ არის დიდი ხნის დისციპლინა (ურბანიზმი დღევანდელი გაგებით) და ამ ადამიანებსაც ესეთი გამოცდილება არ ჰქონდათ. ამდენად, საბჭოთა კავშირის დაშლისას, პერესტროიკის პერიოდის შემდეგ ის ერთგვაროვნება რაშიც ცხოვრობდნენ (ერთნაირი სახლი, ქუჩა, ეზო, შპალერი, პარკეტი) გარკვეულწილად მოირღვა და მათ თავიანთი გამოცდილებებით დაიწყეს ტრანსფორმირება. მაგალითად, ასე გაშენდა პირველ სართულის მაცხოვრებელთა მიერ ბაღები. აივნების გაფართოება და ლოჯიების მიშენებაც ამ პერიოდის მაგალითებია, რაც ბიენალეზე თემატურად იყო განვრცობილი. გამოკვეთილი იყო ტექტონიკური და გეგმარებითი მიმართულებები - ის თუ რა სურათს იძლევა ეს გაფართოება. ჩვენი დაკვირვებით ეს ერთგვარ არაბუნებრივ გარემოს წარმოქმნის.

აქ ბევრი ისეთი შრე გამოჟღავნდა, რომელიც კომპლექსურად გაიაზრებს არქიტექტურის და ცხოვრების გამოცდილებას. ერთ-ერთი პროექტი ლალი პერტენავას კურატორობით, რაც ამავე ბიენალეს ნაწილი იყო - „ბლოკ 76“ მაცხოვრებლებთან უშუალო თანამშრომლობით განხორციელდა. ხელოვანების ნამუშევრები საცხოვრებელ სახლებში განთავსდა და ორი დღის მანძილზე ეს სივრცეები (ბინები, სადარბაზო, ეზო) საგამოფენო ფუნქციით დაიტვირთა. ეს პროექტი საინტერესო გახდა იმ კუთხით რომ ინტერაქციული იყო.

ოთარ ნემსაძე:

მოსახლეობასთან უშუალო ჩართულობით გარკვეული ინიციატივების განხორციელება ჩვენი პრაქტიკის ნაწილია, რომელიც ხშირად კრიტიკულად ფასდება გარეშე თვალისთვის. ძირითადად აკრიტიკებენ იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა შეიძ-

ლება სანახაობრივად იყოს აღქმული ან დაკვირვების ობიექტად იქცეს ამ პროცესში, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიცავთ იმ სენსიტიურ ზღვარს, რაც სხვის პირად სივრცეში მუშაობისას შეიძლება გაჩნდეს. ამდენად, თვითონ ადგილობრივებიც ინტერესდებიან და მეტწილად თანამშრომლობენ, რაც ორმხრივად გარკვეულ დროსა და მზაობას მოითხოვს. გასული წლის ბიენალეც სწორედ ამ პრინციპით გაიხსნა თემქაზე მდებარე ყოფილი სანატორიუმის სივრცეში, სადაც იძულებით გადასახლებული პირები ცხოვრობენ. ეს ძალიან ჯანსაღი და საინტერესო პროცესია, თუმცა კრიტიკული პოზიციებიც გასაგებია.

თაქვანი პრაქტიკა როგორც აღნიშნეთ ხშირად დაკვირვებაზე, თეორიაზე და ფუძემდებულზე. როგორ ფიქრობთ არქიტექტურა, რომელიც ყველაზე ფუნქციური დისციპლინაა დღეს რა გამოწვევების წინაშე დგას და ბიენალე ამათ როგორ უხმობს?

გივი შუაპაძიძე:

არქიტექტურა არ არის მხოლოდ შენობების მშენებლობა. შენობის პროცესის გარდა არქიტექტურა არის ძალიან კომპლექსური საკითხი, რომელიც შენობებს შეისწავლის და აშენების საფუძველსაც ქმნის. ის მრავალშრიანი როგორც დისციპლინა და აერთიანებს ბევრ მიმართულებას: არიან მკვლევარები, თეორიეტიკოსები, მშენებლები, მხატვრები, მხაზველები. ეს ადამიანები თავიანთი შესვდულებით და რაკურსით ფიქრობენ არქიტექტურაზე. არქიტექტურაზე ფიქრი ვი უკვე არქიტექტურაა. ამიტომ არქიტექტურა აუცილებლად შენობებს არ ეძღვნება, ეს შეიძლება იყოს შენობების წინაპირობა, ან შემდგომი ანალიზი. თეორია და პრაქ-



ტიკა ყოველთვის მუდმივ ჯაჭვშია ერთმანეთთან. არიან ადამიანები ვინც მეტად კომერციულად აზროვნებენ და ხშირად ამ პროცესში საკუთარ თავს აცდენილები არიან. ვფიქრობ, კრიტიკული და ანალიტიკური მიმართება გადამწყვეტია და ჩვენ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი ასეთი მეთოდებით შემეცნების განვითარებაა.

ოთარ ნემსაძე:

გვაქვს გამოცდილება რომ 2018 წლიდან ჩვენ პროექტებში ჩართული მოხალისეები, შემდეგ თავად გახდნენ პროექტის მონაწილეები. ეს მზარდი დინამიკა გარკვეული სეგმენტის ადამიანებში ამკარად არსებობს და ძალიან მისასაღმებელია. თბილისის არქიტექტურის ბიენალე გარკვეული ჯგუფებისთვის იქცა განვითარების პლატფორმად. აღსანიშნავია, ისიც რომ გარკვეული თემების ცნობადობასაც შეუწყო ხელი და აქტუალური გახდა. უკვე გვყავს აუდიტორია, რომელიც იკვლევს, ვითარდება და იზრდება ჩვენთან ერთად. ალბათ, ნაკლები გავლენა გვაქვს ისეთ შეუქცევად პროცესებზე, რომლებიც მშენებლობის კომერციალიზაციას ეხება, მაგრამ მცირედი ცვლილებები ამ სამი სფეროს მაგალითზე იკვეთება და მოტივაციაა ჩვენთვის. მით უმეტეს იმ რეალობაში, როდესაც არქიტექტურის სწავლება არ არის სტრუქტურული და ბევრი ხარვეზია საგანმანათლებლო სისტემაში.



გიგი შუკაკიძე:

გარკვეულწილად ეს თვითნასწავლი პროცესია. ადამიანი, როგორც ტენდენციური ცხოველი, თავის ადაპტაციასა და განვითარებაზე მრუნავს; ან გარკვეულ დინებას მიყვება ან საწინააღმდეგოდ მიდის და რეაქცია აქვს. ამდენად, ცნობიერების ამღლევა მნიშვნელოვანია სწორი პოზიციონირებისა და რეაქტიულობისთვის, მით უფრო როდესაც არასახარბიელო სიტუაცია გვაქვს საგანმანათლებლო კუთხით. ახალგაზრდა ლექტორებიც ვინც ახლა ასწავლიან ისინიც თვითნასწავლები არიან და საკუთარ გამოცდილებას აზიარებენ. ბიენალეს ფორმატით ასეთი ცოდნის გაზიარება ახალი თაობისთვის დამატებით ინსპირაციის მიმცემი და ენთუზიამის გამღვივებელია.

ბევრი საერთაშორისო კარტინორი გყავთ. როგორ მოხდა ამ ქსელის და კავშირების შექმნა?



Future Architecture Platform

ოთარ ნემსაძე:

თავდაპირველად პარტნიორებთან კომუნიკაცია იყო პირად კონტაქტებზე დაფუძნებული და თანადათან გაფართოვდა. პერიოდულად ეს ქსელი იზრდება, რადგანაც ვრცელდება ბიენალეს შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად მასში ჩართულობაც. ბიენალეს არალოკალურობა თავიდანვე იყო ჩვენი მოტივაცია, დღეს ვართ რამდენიმე მნიშვნელოვანი არქიტექტურული პლატფორმის წევრი როგორცაა "Future Architecture", Lina-ს პლატფორმა. გვაყვს 9 პარტნიორი სხვადასხვა ქვეყნიდან და ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციებთან გვაქვს კავშირი, როგორცაა ლისაბონის ბიენალე, მის ვან დერ როეს ფონდი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტი, რომელიც ახლახანს წარადგინეთ არის „ინვარი, თაბერვალი, მართი“ ვენაცის არქიტექტურის ბიენალეზე. რა გამოცდილება იყო ეს თქვენი გუნდისთვის და რატომ გადაწყვიტეთ ამ თემაზე მუშაობა?

ოთარ ნემსაძე:

ჩვენ ყოველთვის წინასწარ ვმსჯელობთ თემის აქტუალობიდან გამომდინარე რა შეიძლება რომ დამუშავდეს მომდევნო ბიენალეს კონცეფციად. თავიდან ეს იდეა, თბილისის ბიენალესთან კავშირში გამოიკვეთა, რადგანაც ეხმიანება ნამოხვანის, ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საპროტესტო მოძრაობას, რესურსების ათვისებას და ექსპლუატაციას. აქედან დავიწყეთ მსჯელობა და შემდეგ უკვე განვავითარეთ, რამდენადაც დაემთხვა ვენაციის არქიტექტურის ბიენალეს წლებიდანვე კონცეფციას. ზოგა-

დად რესურსები და რესურსების ათვისება თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული საკითხია, მით უფრო ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

გიგი შუკაკიძე:

ჩვენი ეს ადგილობრივი გამოცდილება და ბოლო პერიოდის მოვლენებზე დაკვირვება იყო ამ პროექტის ინიცირების საფუძველი. ნამოხვანის ჰესის მშენებლობის იდეა არასწორი იყო რამდენიმე მიმართულებით, როგორც იურიდიულად ტერიტორიის გადაცემის კუთხით, ისე ეკოსისტემის უგულვებლყოფით, ლანდშაფტისა და დემოგრაფიული ცვლილებების გამომწვევი მიზეზებით. არასწორად დაგეგმილი პოლიტიკური ნაბიჯების მიუხედავად, ეს იყო სამაგალითო მოვლენა, თუ რა ძალა აქვს ხალხს. ხალხის, როგორც მიწის ძალის და პროგრამული მოდელის შეჯახების ისტორია გახდა ჩვენი კვლევის ინსპირაცია. ეს კვლევა სამი კომპონენტით იქნა სივრცეში წარმოდგენილი (ინსტალაცია, ვიდეო, პუბლიკაცია). დეკოლონიზაციის პარადიგმა საინტერესო იყო ჩვენთვის, რადგანაც ამ ნამუშევრით ასევე ვისაუბრეთ საბჭოთა დროინდელ ჟინვალის წყალსაცავზე და ჩაძირულ სოფელზე, რომელიც ამ ადგილის მრავალშრიანობაზე მიუთითებს. ეს საკითხი სხვადასხვა კუთხით შეიძლება იყოს გაკრიტიკებული. საბჭოთა დროს წყალსაცავებისა და ჰესების არასწორ დაგეგმარებაზე პუბლიკაციაში სხვადასხვა მკვლევარები საუბრობენ. ჟინვალის წყალსაცავი ასეთი სიმბოლური და პოეტური გადაამრების საგანი გახდა თავისი არტეფაქტებით. ამის მანიფესტაციაა სწორედ წყლის დანების დროს გამოჩენილი ეკლესია, რომლის ნეგატივის ფორმა წარმოვადგინეთ ობიექტად სივრცეში. ეკლესია არ არის ჩვენ-

თვის რაიმე რელიგიური მოტივაციით არჩეული, არამედ როგორც ამ მოვლენის ამსახველი მეთაფორა. ის განავრცობს



იანვარი თებერვალი მარტი


საქართველოს

ეროვნული
პარკიონი

ვენეციის

არქიტექტურის გე-18

ბიენალეზე



20.05. - 26.11.

სიცოცხლის, ადგილის, მუდმივობისა და დროებითობის საკითხებს, რამდენადაც არ იძრება და არ იშლება. ამ პროცესში წყალი, როგორც დროებითი მდგომარეობა რა რესურსად შეგვიძლია განვიხილოთ.

სამომავლო ხედვა

გიგი შუკავიძე:

ვაპირებთ, რომ ეს საკითხი, რაც ვენეციის ბიენალეზე დავამუშავეთ განვავრცოთ. ყოველთვის მიზნზე-შედეგობრივია ის თემები, რომლებიც თბილისის არქიტექტურის ბიენალეს გამოშვებების კონცეფცია ხდება. ასე დაიწყო არაფორმალური არქიტექტურის კვლევა, შემდეგ გამოიკვეთა საერთოობის მრავალმხრიანი საკითხი, ის თუ რა გვაქვს საერთო ქცევით, პირად და საზოგადო დონეზე. ბოლო თემა იყო დროებითობა და ახლა ვაპირებთ, რომ 2024 წლისთვის რესურსების ათვისებისა და დეკოლონიზაციის მიმართულებით გავავრცელოთ თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მომდევნო კონცეფციის შემუშავება.

TAB Interview



In conversation with
TAB co-founders and
artistic directors

Gigi Shukakidze & Otar Nemsadze

TBILISI ARCHITECTURE BIENNIAL. FOUNDATION HISTORY

Otar Nemsadze:

The Tbilisi Architecture Biennial was established in 2017 as a response to the lack of space for discussing architectural and urban themes. The initial idea was to organize a small-scale architectural festival lasting several days. However, as the needs grew, the first event quickly evolved into a larger-scale undertaking.

From its inception to the present, the Biennial has received significant support from the European Union. This partnership has provided a focus and direction for our work, collaborating closely with our

partners. The biennial platform was developed in this format, aiming to address various current topics in Tbilisi and beyond. From the beginning, our intention was to involve specialists from different fields, including psychologists and anthropologists, rather than exclusively targeting architects.

The original founders of the Biennial are Gigi Shukakidze, Otar Nemsadze, Tinatin Gurgeniidze, and Natia Kalandarishvili. The structure of our work revolves around an open competition based on a specific theme. It encompasses the implementation of discussions, theoretical exploration, and practical projects involving representatives from diverse fields.

WHAT ARE THE PRIMARY WORKING THEMES FOR TBILISI ARCHITECTURE BIENNIAL

Gigi Shukakidze:

Over the years, the concepts we have explored and developed in the Tbilisi Architecture Biennial have formed a logical progression. We initially decided to delve into the recent past and the post-Soviet reality. In particular, our focus turned to informal architecture, as it symbolically and physically reflects the transformations that occurred after the collapse of the system. We examined how a different dynamic could emerge after the static relationships defined within the system. Studying informal architecture led us to consider the issue of self-expression and informality as a method employed by individuals. We found it crucial to observe the buildings and the altered forms they took. Gldani, an area in Tbilisi, became a source of inspiration for us. One of our team members and co-curator, Tinatin Gurgenzidze, was conducting doctoral research in Gldani at the time. We found the experimental "Appendix" planning in this micro-district intriguing. It aimed to create a self-sufficient micro-district with its own center, a concept we referred to as "City by the city." This "appendix" district was significant not only for its physical characteristics but also for the observations made by its residents. The local population primarily consisted of people who had suffered losses and were relocated from old Tbilisi or individuals working in industrial or agricultural sectors from the surrounding regions. Urban experience, in the modern sense of urbanism, was relatively new to them. As a result, when the uniformity in which they previously lived (same house, street, yard, wallpaper, flooring) was disrupted during the collapse of the Soviet Union and the period of perestroika, they began to transform their environment based on their own experiences. For instance, residents of the first floor started planting gardens, and there was an increase in the expansion of balconies and the construction of loggias during this period. These themes were explored in the Biennial. We paid attention to the tectonic and planning aspects, examining the impact of these extensions on the overall urban landscape. Our observation revealed that this created an environment that felt somewhat unnatural.

The complexity of architecture and life was unveiled through various layers in this context. One notable project that took place within the same Biennial was "Block 76," curated by Lali Pertenava. It involved direct collaboration with the residents themselves. Artists' works were displayed in residential houses, turning these spaces (apartments, hallways, yards) into temporary exhibition venues for two days. What made this project particularly intriguing was its interactive nature.

Otar Nemsadze:

Our practice often involves implementing initiatives with direct involvement from the local population, and this aspect is subject to critical evaluation. Some argue that there is a risk of perceiving the local population as spectacle or turning them into objects of observation. However, we maintain a delicate balance that respects personal boundaries when working in other people's personal spaces. It is important to note that the local residents themselves show interest and cooperate to a large extent, but this requires time and mutual readiness. For example, last year's Biennial followed the same principle in the space of the former sanatorium in Temka, where displaced people reside. This has been a meaningful and engaging process, even though it may raise critical viewpoints as well.

YOU MENTIONED THAT YOUR PRACTICE OFTEN RELIES ON OBSERVATION AND THEORY. WHAT ARE THE CURRENT CHALLENGES THAT ARCHITECTURE, BEING THE MOST FUNCTIONAL DISCIPLINE, IS ENCOUNTERING TODAY? AND HOW DOES THE BIENNIAL ADDRESS THESE CHALLENGES?

Gigi Shukakidze:

Architecture extends beyond mere construction and encompasses a wide range of disciplines. It involves studying and understanding buildings while providing the foundation for their creation. It is a multidimensional field that incorporates various perspectives, including researchers, theoreticians, builders, artists, and drafters. Each of these individuals contributes their unique viewpoint and understanding to the realm of architecture. Thinking about architecture in itself constitutes architecture. It is not solely confined to the physical structures but can also serve as a prerequisite or a means of further analysis. Theory and practice in architecture are interlinked and mutually influential. However, there are individuals who prioritize commercial considerations and may overlook critical analysis in the process. In our case, we believe that fostering a critical and analytical approach is vital, and our starting point is to cultivate knowledge through such methods.





Otar Nemsadze:

Since 2018, we have witnessed a positive trend where volunteers who initially participated in our projects eventually become active contributors themselves. This growing dynamic among certain groups of people is highly encouraging. The Tbilisi Architecture Biennial has served as a platform for the development of these individuals and has helped raise awareness about important topics, creating an engaged audience that explores, evolves, and progresses alongside us. While we may have limited influence on irreversible commercialization processes in the construction industry, we can observe small changes within the scope of our projects, and these serve as motivation for us. This is particularly significant given the existing flaws and lack of structure in the educational system.

Gigi Shukakidze:

To a certain extent, this is a self-taught process. As human beings, we naturally strive for adaptation and growth. We either follow prevailing trends or go against them, reacting accordingly. Therefore, raising awareness is crucial for positioning ourselves correctly and being responsive, especially when we face challenges in the education system. Even the young lecturers who are currently teaching are often self-taught individuals who share their experiences. By sharing this knowledge through the biennial format, we can inspire and ignite enthusiasm among the new generation.

YOU WORK WITH NUMEROUS INTERNATIONAL PARTNERS. HOW DID THIS NETWORK AND CONNECTIONS COME ABOUT?

Otar Nemsadze:

Initially, our communication with partners relied on personal contacts, but over time it has expanded significantly. The network of partners continues to grow as word spreads about the Biennial and more people become involved. From the very beginning, our motivation has been to embrace the non-locality of the Biennial, and as a result, we are now members of several important architectural platforms such as Future Architecture and Lina platform. We have established partnerships with nine organizations from different countries and have connections with prestigious institutions such as the Lisbon Biennial and the Mies van der Rohe Foundation.

ONE OF THE IMPORTANT INTERNATIONAL PROJECTS YOU RECENTLY PRESENTED IS "JANUARY, FEBRUARY, MARCH" AT THE VENICE ARCHITECTURE BIENNALE. HOW WAS THE EXPERIENCE FOR YOUR TEAM AND WHAT MOTIVATED YOU TO CHOOSE THIS TOPIC FOR YOUR PROJECT?

Otar Nemsadze:

Before each event, we engage in discussions to determine the concept that will be developed based on the relevance of the topic. Initially, the idea for "January, February, March" emerged in connection with the Tbilisi Biennial, as it resonated with the Namokhvani protest movement, a significant recent protest related to resource utilization and exploitation. From there, we delved into the topic and expanded it to align with this year's concept of the Venice

Architecture Biennale. The issue of resources and their utilization is a crucial concern in the modern world, particularly in the context of a developing country like Georgia.

Gigi Shukakidze:

Our local experience and observation of recent events served as the foundation for initiating the "January, February, March" project. The construction of the Namokhvani Hydroelectric Power Plant (HPP) was flawed on multiple levels, including legal issues related to territory transfer and disregard for the ecosystem, landscape, and demographic changes. Despite misguided political decisions, it became a remarkable demonstration of people power. The clash between the people and the system became the inspiration for our research. We presented this study through three components: an installation, a video, and a publication. The concept of decolonization intrigued us, as it allowed us to delve into the Soviet-era Zhinvali reservoir and the submerged village, symbolizing the complex layers of this place. This issue can be approached and criticized from various perspectives. In the publication, different researchers discuss the flawed planning of water reservoirs and hydroelectric power plants during the Soviet era. The Zhinvali Reservoir, with its artifacts, served

as a poetic and symbolic reflection. As an object in space, we presented the negative form of a church that emerged when the water levels were lowered. The selection of the church was not driven by religious motives but rather as a metaphor for the event, expanding the themes of life, place, permanence, and temporality, as long as it remains unmoved or dissolved. In this process, we view water as a temporary state, a resource.

FUTURE PLANS



Gigi Shukakidze:

We aim to further disseminate the issue that we explored at the Venice Biennale. The topics that shape the concepts of each edition of the Tbilisi Architecture Biennial are always interconnected and consequential. It started with the study of informal architecture, followed by the multifaceted exploration of commonality—our shared behaviors at personal and societal levels. The last edition focused on temporality. Looking ahead, our intention is to continue developing the next concept for the Tbilisi Architecture Biennial in 2024, with a focus on resource utilization and decolonization.



ՆՈՅՄԱՆ ԳՐԱԳՐԱՅԻՆՈՒԹՅՈՒՆ

Ն Ր Վ Ո Ս Վ Վ Ս Մ Ր Ո



გაგვიზიარეთ თქვენი, როგორც არქიტექტორის ჩამოყალიბების პროცესი, სამუშაო ხედვა და გამოცდილება

პროფესიის არჩევა ხშირად დაკავშირებულია ოჯახურ გარემოცვასთან. არქიტექტორების და მხატვრების წრე ბავშვობიდან ჩემი ყოველდღიურობის ნაწილი იყო, თუმცა მე პირადად პირველ ეტაპზე ანიმაციით და რეჟისურით ვიყავი გატაცებული. არქიტექტურასთან ჩემი გადაკვეთა უკავშირდება კონკრეტულ სტიპენდიას, რომელიც 2005 წელს მოვიგე და ამ სტიპენდიით გავემგზავრე სტამბულში, სწავლა გავაგრძელე ხელოვნების აკადემიაში და არჩევანი არქიტექტურაზე შევაჩერე, რადგან ეს არის დისციპლინა, რომელიც გაძლევს საბაზისო და სინთეზურ ცოდნას ხელოვნების სფეროში. სწავლის პროცესში მნიშვნელოვანი სიახლეების ნაწილი გავხდი, მოვიგე ეროვნული კონკურსი. მაშინ როდესაც თბილისში ნაკლებად ინტეგრირებული და მეტად ინტროვერტული ვიყავი, სტამბულში სრულიად სხვა რეალობა დამხვდა, ამ ქალაქმა განსაკუთრებით დადებითად მიმიღო და ის უნარები რაც იყო ჩემში სხვაგვარად რეალიზდა. ფაქტობრივად, ეს ქალაქი იქცა ჩემს მეორე სამშობლოდ. დღევანდელი გადმოსახედიდან, ვფიქრობ, სტამბული და თბილისი გავს ერთმანეთს კონტრასტულობით, ესთეტიკის ელემენტებით. მაგრამ ამასთანავე, ვფიქრობ, რომ სტამბული არის გამორჩეულად ძლიერი ენერგეტიკის მქონე ქალაქი. ფამუკიც აღნიშნავს თავის წიგნში, რომ საუკუნეები გადის, მაგრამ ამ ქალაქს ვერავინ იპყრობს. ის ნამდვილად გამორჩეული, ხელშეუხებელია თავისი ქაოსით, ლანდშაფტით, იდენტობით. სტამბული განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სწორედ ამ ქალაქს უკავშირდება ჩემი პროფესიული რეალიზება და ადამიანად ფორმირება.

მნიშვნელოვანი პროექტები

ჩემი და ასევე ჩვენი სტუდიის მუშაობის პრინციპი, ე.წ. ალგორითმი ასეთია, რომ ყოველი პროექტი უნდა იყოს საუკეთესო, იმასთან შედარებით, რაც აქამდე გავაკეთებია. ამ მიდგომით თუ არ წავალთ სხვაგვარად პროგრესიც არ იქნება. ხშირად მასალა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფორმა. ჩვენი მიდგომებისთვის

ნიშანდობლივი ნიუანსია ინტერიერის და ექსტერიერის ურთიერთობა, რამდენადაც არქიტექტურა სინათლესთან ფლირტის ხელოვნებაა. ვიდევ ერთი ძირითადი კონტექსტია ისტორიული მიმართება, რადგანაც ჩვენ შენობას მხოლოდ სკულპტურულად, როგორც ცალკე მდგომს, არ განვიხილავთ, არამედ ისტორიულ კონტექსტთან კავშირში. ამდენად, ჩვენთვის არქიტექტურა არის დიალოგი და აესტიკულაციური ხელოვნება. აბსტრაქცია, მაგალითად ვილემ დე კუნენგის შემთხვევაში, რომელიც ავითარებს აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმს, აესტიკულაციურია. არქიტექტურასთან პარალელშიც ეს სახასიათოდ ვლინდება – იმისთვის, რომ აესტიკა გავითედეს, უნდა მივიღოთ გარკვეული ფორმა, სიგნალი. ამდენად, ჩვენი არქიტექტურა არის დიალოგი და არა ცალსახად სკულპტურა. ვმუშაობთ ძირითადად ისტორიულ ლანდშაფტში ახალი შენობის აშენებაზე, ასევე ძველისა და ახლის შერწყმაზე. ამ პერიოდში შენდება მარიონეტის თეატრის პირდაპირ სასტუმროს პროექტი, რომელიც ხის დარაბებით ერთგვაროვან მასალაში კეთდება და ეს გადაწყვეტა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ სივრცისთვის. გერგეთის ქუჩაზე ვაპროექტებთ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, რომელიც მიკრო ქალაქის სიმულაციაა (შეტერასება, კიბეები ამგვარი არქიტექტურული გადაწყვეტებით). ბოლო პროექტებიდან აღვნიშნავ ელბაქიძემე განხორციელებულ პროექტს, სადაც რიტმებით დავამუშავეთ ფორმა და გვქონდა ჩვენეული ანალიზი იმასთან დაკავშირებით თუ რა ენაზე მეტყველებს ქალაქი, როგორ იცვლება მასშტაბი და იერსახე წყალთან მიახლოებისას. როგორ იცვლება და როგორ აესტის იღებს შენობა, ეს კარგად ჩანს იმ დროის ისტორიულ ფოტოებზე, სანამ სანაპირო გზები გავითედებოდა. ვცდილობთ თანამედროვე არქიტექტურაში აესტების ენა შევიმუშაოთ. დღესდღეისობით ახალი გამოცდილება გვაქვს ურბანულ მასშტაბში მუშაობის. ესპანელ პარტნიორებთან ერთად ვამუშავებთ ძველი თბილისის რამდენიმე კუნძულის გაფხვამავლების ბილიკებს (სუპერ ბლოკებს). ამ პროცესში ვაკვირდებით ადამიანის სხეულის ურთიერთობას მასშტაბთან, სივრცესთან. აქ იკვთება სოციოლოგიური, მორფოლოგიური და ანთროპოლოგიური ანალიზი. ჩვენი პროექტები მნიშვნელოვნად ეფუძნება კვლევასა და კოლაბორაციას სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან.



არქიტექტორის და არქიტექტურის როლი დღევანდელობაში - გამონვევები და სიახლეები

დღევანდელობაში ის მიმართულებები, რომლებიც არქიტექტორმა უნდა მართოს მრავალგვარია, კონსტრუქციული გრავიტაცია, დამკვეთის მოთხოვნა, სოციალური მსაზღვრელი, ტექნოლოგიური საკითხები. ტექნოლოგიურად ახლა ვიმყოფებით ზეგარდვევის წინაშე ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში. ეს რა თქმა უნდა სხვა გამოწვევის წინაშე გვაყენებს, ჩემი აზრით მომავალი მშენებლობა ადამიანების ნაკლები ჩართულობით ბევრად ავტომატიზირებული იქნება. ამ პროცესში, ვფიქრობ, მშენებლობის ტექნოლოგიური ცვლილებები მასალის თავისებასაც სხვაგვარად წარმოაჩენს. ლიუს კანის ცნობილ ლექციას თუ გავიხსენებთ, ის აღნიშნავს რომ თუკი აგურს ვკითხავთ რა უნდა რომ იყოს, ის გვიკარნახებს რომ უნდა იყოს თაღი. ესაა მოსაზრება, როდესაც მასალა თავისთავად გვარნახობს ფორმას. მასალეებისა და რესურსების საკითხებს აქტიურად გაიაზრებს დღევანდელობაში არქიტექტურა და აყალიბებს სხვადასხვა ნიუანსს.

ახლახანს გაიხსნა ვენეციის არქიტექტურის ბიენალე, რომელმაც საინტერესოდ გაშალა სწორედ ეს თემა დღევანდელობის გამონვევების და გადააზრების შესახებ. მომავლის ლაბორატორია ამ კონცეფციით განიხილავს კურატორი ლესლი ლოკო სწორედ


ამ საკითხებს, თუმცა კი ყველა ბიენალე თავისებურად საუბრობს მომავალის პერსპექტივაზე. ამ შემთხვევაში მომავალთან აღსანიშნავი იყო ქვეთემები - დეკოლონიალიზაცია და დეკარბორნიზაცია, რომლებიც ამ ბიენალეს ფარგლებში აქცენტირდა. საქართველო ამ კონტექსტში ძალიან საინტერესოდ წარდგა, რამდენადაც განიხილა კულტურული და ეკონომიკური კოლონიზაცია წყლის რესურსის გამოყენების კუთხით. პროექტის ავტორებმა, თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ჯგუფმა, ძალიან სერიოზული განაცხადი გააკეთა ამ მიმართულებით. ჰესების თემა, რომელიც ენერჯის მოპოვების წყაროა სოციალურ-კულტურული სივრცის კოლონიზაციას ახდენს ჩვენ სივრცეში. ცხადია ეს საგულისხმო და საინტერესო დაკვირვებაა სამომავლოდ, იმაზე დასაფიქრებლად თუ როგორ შეიძლება იყოს გააზრებული ჩვენი ქმედებები ამ მიმართულებით. აქ არ იყო ჩემთვის ცალსახა შეფასებითი პასუხები, რომ ეს ცუდია ან კარგი. ნამუშევარი უფრო ღრმა გააზრებისკენ მოგვიწოდებდა და თავის დაკვირვებას აჩვენებდა, როგორც ქართულ ისე საერთაშორისო საზოგადოებას.

ზოგადად მიმაჩნია, რომ არქიტექტორი უნდა იყოს მეცნიერი და პოეტი თანაბრად. დღევანდელობაში ეს უდიდესი გამონვევაა, რამდენადაც არქიტექტორი, ჩანაცვლებულია მშენებელით. არქიტექტორი კი არის ის ვინც, არამხოლოდ აშენებს, არამედ ის ვინც პოეტურ, კულტურულ ღირებულებას ანიჭებს სივრცეებსა და შენობებს.



INTERVIEW

i n c o n v e r s a t i o n w i t h




Nikoloz

Lekeveishvili

architect

Please share with us insights into your journey of becoming an architect, your vision for your work, and the experiences you have gained.



The choice of a profession is often influenced by family environment. Growing up surrounded by architects and artists, I was exposed to their world from an early age. Initially, my personal interests gravitated towards animation and directing. However, my path intersected with architecture when I was awarded a scholarship in 2005. This opportunity took me to Istanbul, where I continued my studies at the Academy of Arts and ultimately chose architecture as my discipline. Architecture, with its ability to provide fundamental and comprehensive knowledge within the realm of art, captivated me. During my academic journey, significant milestones and achievements shaped my experience. Notably, I secured first place in a national competition, which brought recognition and a sense of accomplishment. While I was more introverted and less integrated into the architectural scene in Tbilisi, Istanbul offered me a completely different reality. The city embraced me warmly, and I found a new outlet for my skills and abilities. Istanbul, in many ways, became my second home. Looking back now, I perceive Istanbul and Tbilisi as cities that share contrasts and aesthetic elements. However, Istanbul stands out for its incredibly vibrant energy. In his book, Pamuk also reflects on how centuries pass, yet no one can truly conquer this city. It possesses an indescribable uniqueness, an untouchable allure, expressed through its chaotic charm, breathtaking landscapes, and distinctive identity. Istanbul holds great significance in my professional development and personal growth, as my journey as an architect and as an individual is intricately intertwined with this remarkable city.

Important Projects

Our studio, both mine and our collective's, operates on a principle known as "The Algorithm." This principle guides us to ensure that each new project surpasses our previous work. Without adhering to this approach, progress becomes stagnant. We place great emphasis on the materiality of our projects, often considering it more important than mere form. One crucial aspect of our approach revolves around the relationship between the interior and exterior spaces, recognizing architecture as the art of engaging with light. Additionally, we deeply value the historical context of a building, viewing it not in isolation but as part of a larger historical narrative. For us, architecture is a dynamic dialogue and a gestural art form. Drawing inspiration from abstraction, similar to the work of Willem de



Kooning and his development of abstract expressionism, we understand that gestures play a significant role. Just as a gesture requires a specific form or signal, our architecture is an ongoing dialogue rather than a static sculpture. Our focus primarily revolves around constructing new buildings within historical landscapes and harmoniously blending the old with the new. Currently, we are engaged in the construction of a hotel in front of the marionette theater. We are utilizing wooden pallets for this, which will greatly contribute to the character of the space. We are also designing a multi-apartment residential building on Gergeti Street, which simulates a micro-city with its terraces and architecturally intriguing staircases. Among our recent projects, I would like to highlight our work on Elbakidze, where we explored rhythmic forms and conducted our own analysis of how the city communicates through its language, scale, and transformation as one approaches the water. The historical photographs from the time before the coastal roads were constructed vividly reveal how the building evolves and expresses gestures. Our aim is to develop a contemporary architectural language that incorporates signifiers. Currently, we are delving into the realm of urban-scale projects, collaborating with our Spanish partners to design pedestrian pathways (super blocks) across several islands in Old Tbilisi. Throughout this process, we meticulously observe the relationship between the human body, scale, and delicacy, incorporating sociological, morphological, and anthropological analyses. Research and collaboration with specialists from various fields form a significant foundation for our projects.

The role of architecture and architect today – challenges and novelties

Nowadays, architects have to navigate through various dimensions in their work, including considerations of structural integrity, client preferences, societal boundaries, and technological advancements.

Speaking of technology, we are currently standing on the cusp of the artificial intelligence era. Naturally, this introduces another challenge: I believe that future construction processes will become increasingly automated, with reduced human involvement. As a result, the changes in construction technology will bring about a different approach to material utilization. Drawing inspiration from Liu Kahn's renowned lecture, he emphasized that if we were to ask a brick about its ideal form, it would respond by aspiring to be an arch. This perspective highlights how the material itself can dictate the desired shape. Modern architecture actively engages with the complexities of materials and resources, giving rise to a multitude of innovative nuances.

Recently, the Venice Architecture Biennale opened, offering an intriguing exploration of the challenges and reimagining of our present times. Under the theme of the "Laboratory of the Future," curator Lokko delves into these very issues, although each biennale approaches the future from its unique perspective. Notably, the sub-themes of decolonization and decarbonization took center stage in this edition, prompting thought-provoking discussions. Georgia's representation in this context was particularly captivating, as it examined the cultural and economic colonization associated with the utilization of water resources. The Tbilisi Architecture Biennale group presented a compelling project that shed light on the socio-cultural impact of hydroelectric power plants as a source of energy production. This observation holds significant importance, prompting us to contemplate the implications of our actions in this realm. There were no definitive evaluative conclusions for me—whether something is good or bad—rather, the work invited us to delve deeper into understanding and served as an insightful observation for both Georgian and international society.

In general, I firmly believe that an architect should embody the qualities of both a scientist and a poet. This juxtaposition presents a significant challenge in our contemporary times, where the role of the architect has sometimes been overshadowed by that of the builder. An architect is not merely a constructor, but also an individual who imparts poetic and cultural significance to spaces and structures.



ინტერპიუ
არქიტექტორ

ნინო ჩაჩხიანი

დაინტერესდეს პიუნიის რეკონსტრუქციის, სპეციალური გათვალისწინებული ნაგებობის.

**განვითარების გზა და პროცესი.
როგორ ჩამოყალიბდა თქვენი სამუშაო ხედ-
ვა და გამოცდილება არქიტექტურის მიმარ-
ტულაბით**

არასდროს არ მინდოდა გავმხდარიყავი კოსმონავტი ან ექიმი, მინდო-
და გავმხდარიყავი არქიტექტორი. მომწონდა ეს სიტყვა ადრეული ბავშ-
ვობიდან და, რა თქმა უნდა, კარგად არ მესმოდა, რას ნიშნავს. აკადემი-
აში რამდენიმე განსაკუთრებით საინტერესო მასწავლებელი მყავდა,
მაგრამ მაშინ ზუსტად არ ვიცოდი, ვისთან შექონდა საქმე. ძალიან ახალ-
გაზრდა ვიყავი და სულ სხვა კუთხით აღვიქვამდი სწავლის პროცესს. ახ-
ლა უფრო კარგად ვხვდები, ვისგან რა ვისწავლე მაშინ და გული მწყდე-
ბა, რომ აღარ შემიძლია, მივიღე და კითხვები დავუსვა მათ. აკადემია
რომ დავამთავრე, ვიცოდი, რომ არაფერი არ ვიცი. მივხვდი, რომ არქი-
ტექტურა არის ყველაზე მრავალმხრივი, კომპლექსური, რთული სა-
განი, რომელიც ყველაფერს შეიცავს და თვითონ არის ყველაფერი. ვი-
ცოდი, რომ ძალიან მინდა, მართლა გავხვდე არქიტექტორი. ისე მოხდა,
რომ შემთხვევით, ჩემს მეგობრებთან ერთად ახალი, ექსპერიმენტული



პროექტის სამუშაო ჯგუფში მოვხვდი. ვმუშაობდით დიღმის ერთი პატა-
რა უბნის განაშენიანების პროექტზე, რომელიც ქალაქგეგმარებიდან
დიზაინის ელემენტებამდე მთლიანად ჩვენს სახელოსნოში უნდა დაპ-
როექტებულიყო. საინტერესო პროექტი იყო, მაგრამ სამწუხაროდ,
როგორც ბევრი რამ, ქალაქებზე დარჩა. ხუთი წლის შემდეგ თანამდე-
ბობიდან გაქრა პარტიული ფუნქციონერი, რომელიც ამ პროექტს კუ-
რირებდა და ამით დამთავრდა მისი ისტორია და ჩემი პირველი და უკა-
ნასკნელი სამსახური საბჭოთა საპროექტოში. მერე იყო წლები, როდე-
საც საქართველოში არქიტექტურის ადგილი საერთოდ არ დარჩა, და
ბოლოს, აღმოვჩნდი ციურისში, შვეიცარიაში. მაინტერესებდა, შევძ-
ლებდი თუ არა იქ მუშაობას - სულ სხვა სამყარო იყო. 1996 წელს მივიღე
უფლება, მემუშავა დამოუკიდებელ არქიტექტორად. რა თქმა უნდა, მეხ-
მარებოდნენ ჩემი კოლეგები და მეგობრები, რომელთა მხარდაჭერას
დღემდე ვგრძნობ და მადლობელი ვარ. მთელი ჩემი თვალთახედვა,
ჩემი საქმის და პროფესიის მიმართ დამოკიდებულება სწორედ ამ ოც-
დაათწლიან განუწყვეტელ სწავლას და გამოცდილებას ეყრდნობა.
რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის ერთ პრიზმაში ვატარებ -
როგორ შეიძლება, რომ ეს ყველაფერი საქართველოს გამოადგეს.



გაგვიზიარეთ მნიშვნელოვანი პროექტები

ჩემთვის ყველა პროექტი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი ის, რომელიც რამე ახალს მასწავლის. ამ თვალსაზრისით, მთავარი არის ჩემი პირველი პროექტი შვეიცარიაში, რომლითაც ფაქტობრივად ვისწავლე ამ ქვეყანაში მუშაობა.

ეს არის მეთექვსმეტე საუკუნეში აგებული, საკმაოდ დიდი მოცულობის, სამსართულიანი სახლი ციურიხის ვაინლანდში, მეღვინეობის პატარა რეგიონში, სადაც ყველა სოფლის ბირთვი ძველი, ლამაზი სახლებით არის განაშენიანებული, დღემდე შენარჩუნებული და დაცული. მაშინ, სხვა ბევრ სპეციფიურ დეტალთან ერთად ვისწავლე, რომ პირველ რიგში უნდა კარგად დავაკვირდე, რა არის მთავარი და რა - მეორეხარისხოვანი. რა უნდა შევინარჩუნო, რა უნდა გავაკეთო, რომ დღევანდელი ინტერვენცია არ გახდეს დამლუპველი ძველი შენობისთვის, არ შთანთქოს მისი სული, რომელიც ასე კარგად იგრძნობა. დაახლოებით ოცი წლის შემდეგ ამ სახლის კიდევ ერთი ნაწილი გავაკეთე – ჩვენი მეგობრობა გრძელდება. რაც მთავარია, ეს სახლი დღემდე ბედნიერებას ანიჭებს თავის პატრონებს. ამით ვამაყობ.

მეორე არის მიმდინარე პროექტი თბილისში - აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაცია. პირისპირ შეხვედრა არქიტექტორ ალექსანდრ შიმკვიჩთან, რომელიც ზუსტად ასი წლით არის ჩემზე უფროსი და ერთ დროს თბილისის სახეს ქმნიდა, ჩემთვის დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს. ჩვენი აბრეშუმის მუზეუმში კი ერთ-ერთი უძველესი აბრეშუმის მუზეუმი და მსოფლიოში ერთადერთია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში მისთვის სპეციალურად აგებულ შენობაში დღემდე ფუნქციონირებს.

პროექტი თბილისის განვითარების ფონ-დის დაკვეთით 2015 წელს გავაკეთე. სამუშაოები მხოლოდ 2020 წელს დაიწყო და სხვადასხვა ხარისხის სირთულეების ფონზე დღემდე გრძელდება. ამ დროისათვის გაკეთებულია საძირკვლებისა და კედლების სტატიკური გამაგრება დრენაჟის სისტემის მოსაწესრიგებელი სამუშაოები და სარდაფის სართული. პარალელურად მიმდინარეობდა სამშენებლო და სა-

რესტავრაციო სამუშაოები, საიდანაც ბევრი პატარა მოულოდნელი საჩუქარი მივიღეთ, მაგალითად — ფასადებსა და ინტერიერში დამალული მხატვრობის ფრაგმენტები. ასეთი ბედნიერი მომენტები ძალას მძლევს, მით უფრო არ მახარებს ხელოსანი, რომელიც კაბელის გაყვანის მიზნით ამ მხატვრობაში გვირაბს თხრის.

ჩემს მეგობრებთან ერთად ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაწყებული ბრძოლა ამ მუზეუმის გადასარჩენად, ცალკე ისტორიაა, რომელსაც აქ არ მოყვები. დღეს თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩემი ამ მუზეუმთან ურთიერთობა პირადული ხასიათისაა და ალბათ სწორია, რომ მე შემხვდა წილად მისი შენობის გადარჩენაც. იმედი მაქვს, რომ ამ ბრძოლასაც ასევე კეთილი ბოლო ექნება. პროექტის დამთავრების შემდეგ დანვრილებით დავწერ ამ გამოცდილების შესახებ.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ძალიან მახალისებს და პირდაპირ კავშირშია არქიტექტურასთან და ისტორიასთან, მაგრამ არ არის არქიტექტურა, თბილისის არქიტექტურის არქივია. მიხარია, რომ მაქვს უფლება ვიმუშაო მშვენიერ ადამიანებთან ერთად და მონაწილეობა მივიღო ჩვენი დანგრეული საერთო მეხსიერების რეკონსტრუქციაში.

არქიტექტურა დღეს - გამოწვევები და სიახლეები

ეს იმდენად ზოგადი კითხვაა, რომ პასუხიც ასეთივე იქნება. გამონვევა ბევრია.

უდიდესი გამოწვევა არის ის, რომ არ უნდა დავკარგოთ ჩვენი უკვე ძალიან შემცირებული, ნაფლეთებად ქცეული მემკვიდრება. სახე თუ არ შევინარჩუნეთ, მომავალი არ გვექნება.



მთავარი გამოწვევა არის ჩვენი პლანეტა, ჩვენი ბუნება და ჩვენი სამყარო, რომელიც სწრაფად ვითარდება და იცვლება. ტექნოლოგიების განვითარების სისწრაფე გვეხმარება და ყოველდღიურად ახალი კითხვების წინაშე გვაყენებს. არქიტექტურა პირდაპირ კავშირშია ამ პროცესებთან. ჩემთვის საინტერესოა მომავლის ხედვები, მრავალწლიანი გეგმები, დიდ მასშტაბში ფიქრი, წარმოდგენა, თუ როგორი სახის და ხარისხის გარემო გვინდა გვექნება რამდენიმე ათწლეულის შემდეგ და რა გზებით შეიძლება იქამდე მისვლა. როდესაც ამაზე ვფიქრობ, ძირითადად საქართველოს პრობლემები მანუხებს. ძალიან ბევრი სამუშაოა გასაკეთებელი იმისთვის, რომ ჩვენი საარსებო გარემო, ქალაქი იქნება თუ სოფელი, ადამიანისთვის სასაიმოვნო, ჯანმრთელი და მომავალში არსებობის უნარიანი გახდეს.


დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, დიდ გამოწვევად მიმაჩნია ისიც, რომ მინდა საქართველოში იყოს ძლიერი პროფესია-არქიტექტორი, რომელსაც პატივს სცემენ.

სამომავლო ხედვები

უკვე დიდი ხანია, ძალიან მაინტერესებს, როგორი იქნება ის პირველი დღე, როდესაც გათავდება ნავთობი. ვერ მოვსწრები, მაგრამ მომწონს ამაზე ფიქრი და წარმოდგენა. ალბათ არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, ალბათ ყველა, ვისაც დღეს მომავალი ანუხებს, მშვიდად მოისმენს ახალ ამბებს და გააგრძელებს დღის საქმეებს.

ბევრს ვფიქრობ იმაზე, თუ რა პრობლემების წინაშე დადგება უკრაინა, მისი სოფლები და ქალაქები ომის შემდეგ და რით შემიძლია დავეხმარო, როგორც არქიტექტორი და ადამიანი.





In conversation with Nino architect Tchatchkhiani

I often wonder about the day when the oil runs out

I.Path and process of development. How did your work vision and experience in the field of architecture come together?

როდის და რატომ ენიჭება ამა თუ იმ ძეგლს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი? აქვს მას რაიმე სხვა დანიშნულება ქალაქის კულტურული, ისტორიული და ცივილიზაციური თვალსაზრისით თუ იგი მხოლოდ კომერციული ძეგლია? ქალაქის ისტორიულ-კულტურული ნაწილი უნდა იყოს ახალი ნაწილისგან გამოყოფილი თუ თანამედროვე ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს? ინარჩუნებს თუ არა ძეგლი "ძეგლის სტატუსს" მხოლოდ მხატვრული ღირებულებით (ამ შემთხვევაში "მხატვრულში" ვგულისხმობ სახეს, ფასადს, ნიღაბს, შინაარსისგან დაცლილ მოცემულობას)? ვფიქრობ, მხატვრულობასაც კი (არა თუ ღირებულებას) მას საზრისი, გარემო, ვითარება და დანიშნულება, ანუ ეპოქა სძენს. ამ კითხვებზე პასუხი, ერთი შეხედვით, მარტივია, მით უმეტეს, თუ 1964 წელს მიღებულ ვენეციის ქარტიას გავითვალისწინებთ, მაგრამ ჩვენი რეალობით ვხვდებით, რომ ვენეციის ქარტია ამონარიდია ფურცელზე დანერგილი ბერძნული იდეალური სახელმწიფოს მოდელის კანონთა კრებულიდან და თუ ვიმსჯელებთ იმ ლოგიკითაც, რომლის მიხედვითაც, კანონები იმიტომ არსებობს, რომ ის დავარდვიოთ, ჩვენ ამ კანონების დარღვევა შესანიშნავად გამოგვდის.

ძველ თბილისში მიმდინარე პროცესებით ნათელი ხდება, რომ ქალაქსა და კულტურულ ნიმუშებს მხოლოდ ურჯულო

მტერი არ ანგრევს... ნათელია, რომ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას რესტავრაცია უკეთდება პრეზერვაციისთვის, ტურისტებისთვის, მათვის, ვინც თბილისის სულ რამდენიმე საათით ნახავს და არა ჩვენთვის, აქ მუდმივად მაცხოვრებლებისთვის, რადგან თუ კარგად დავაკვირდებით ჯერ კიდევ "რესტავრატორებისგან" ხელშეუხებელი სახლების მორთულობას, დავინახავთ იმ გულმოდგინებას, რომლითაც ადრე აშენებდნენ ქალაქს, დღეს ეს გულმოდგინება სამუშაოს სწრაფად და იაფად დასრულების სურვილმა შეცვალა. ეს ყველაფერი ვერ მოდის ვენეციის ქარტიის მესამე პუნქტთან თანხმობაში, ვინაიდან ასეთი რესტავრაციით ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშსაც და შედარებით მოკრძალებულ ნიმუშებსაც ეკარგებათ არა თუ კულტურული, არამედ ისტორიული ღირებულებაც, რესტავრირებული შენობები რჩება უბრალო იდეად პლატონის იდეათა სამყაროდან, რომ აქ არსებობდა ნაგებობა, მისი სახე კი სრულიად უგულებელყოფილია. ასე კი ბუნებრივია, რომ ქალაქი კარგავს იმ სულიერებას, რაც მას გააჩნდა, როგორც ავა მორჩილად წერს თავის ერთ-ერთ წიგნში, რომ თბილისის მფარველი ანგელოზები ძველი სახლების ბზარებში ცხოვრებენ, მათი დანგრევითა და ახლადაშენებით კი ეს ანგელოზები ქრებიან.

თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აქ (ი. მაჩაბლის N13) შენარჩუნებული და დატოვებულია დეკორაციის პირვანდელი სახე, რაც ინტერიერის უკეთ აღქმაში გვიწყობს ხელს.

რესტავრაციისთვის უმნიშვნელოვანესია თავდაპირველი (ან დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სახის) სახის აღდგენა, ამიტომ ვენეციის ქარტიის მეცხრე და მეთხუთმეტე მუხლების გათვალისწინებით, რესტავრაცია უნდა შეწყდეს იქ, სადაც მთავრდება ცოდნა ამათუ იმ ძეგლის ძველი სახისა. ამ მხრივ, საინტერესოა ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, აქ ტაძრის მთლიანი სახე აგებულია ვარაუდით. ძველი ნაგებობიდან შემორჩენილია ქვის წყობის რამდენიმე რიგი, ხოლო ახალი ეკლესია მასზეა დაშენებული, ამ ქვებზე მოხვედრილი დეკორაციის ნიშნების მიხედვითაა ახალი სახეც შექმნილი, ამის გამო არქიტექტორებს შიდა სივრცის განათებისთვის სრულიად არალოგიკური ნაბიჯების გადადგმაც მოუწიათ.





კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ძველი ქალაქის აღდგენაში ესაა მოქალაქეების მონაწილეობა. ეს რამდენიმე საკითხს განსაზღვრავს, უპირველესად, პასუხისმგებლობის გარკვევაში, რომ მოქალაქე არაა ქალაქში მაცხოვრებელი, არამედ ქალაქელი, რომელიც თავად აყალიბებს, ქმნის თავის ქალაქს, მაგრამ აქვეა გასათვალისწინებელი კიდევ რამდენიმე პრობლემა, როგორ უნდა აღადგინოს შესაბამისი ცოდნის არმქონე ადამიანი კულტურული ძეგლი, თუნდაც ეს მისი საცხოვრებელი სახლი იყოს, ალბათ, სწორედ ამიტომ არ აქვთ მათ საქართველოს კანონმდებლობით კულტურული მემკვიდრეობის შევითების უფლება, თუმცა არც მერია და კულტურის სამინისტრო იწუხებს თავს კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია-კონსერვაციით თავს... ამ ყველაფერს მიყვავართ სავალალო შედეგებამდე, ინგრევა და ნადგურდება უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობა, გარდა ამისა, საფრთხე ექმნება იქ მაცხოვრებლების სიცოცხლეს.

არქიტექტორებისა და ისტორიული ძეგლების სპეციალისტთა მიერ შემუშავებული დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით (მუხლი 1; მუხლი 6), უმნიშვნელოვანესია შენობის მასშტაბი, ეს ერთდროულად რამდენიმე პრობლემას წყვეტს, მაგალითად, თავად მასშტაბისა და კულტურული გარემოს დაცვის საკითხს, ამ მხრივ, აღსანიშნავია სოლოლაკში, ჭონქაძის ქუჩის კუთხეში აშენებული სრულიად თანამედროვე შენობა, მისი მასშტაბი და წმინდა არქიტექტურული ფორმა (და არა მხატვრული სახე), რომელიც კარგად ჯდება ქუჩების კვეთაში, სულაც არ არღვევს მხატვრულ იერსახეს, შეიძლება ითქვას, რომ იგი თითქმის შეუმჩნეველია (გამჭირვალეა) ძველი

შენობების ჩრდილში, იგი შესანიშნავად ეხამება ბუნებასაც, რადგან მისი მშენებლობისთვის არაა მოჭრილი ხეები, ნაგებობამ ხეები შთანთქა, გარს შემოუარა, რამაც მას მეტი სიმსუბუქე შესძინა.

უმნიშვნელოვანესია უკვე აღდგენილი ძეგლების მოვლა-პატრონობა (ვენეციის ქარტია მუხლი 4; ვაშინგტონის ქარტია მუხლი 7). ამის მაგალითია აღმაშენებლის ქეჩა, შეიძლება ეს არაა მაღალი დონის რესტავრაცია, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ვხედავთ, რომ ფასადები ინგრევა, გაჭუჭყიანდა, დაკარგა ყველანაირი სახე, ქალაქის მოსახლეობამ უშუალოდ რესტავრაციასა და შევითებაში თუ არ დახარჯა ენერგია და ფინანსური სახსრები, კარგი იქნება უკვე განახლებულის შენარჩუნებაში მაინც თუ მიიღვეს მონაწილეობას.

ვენეციის ქარტიის თანახმად, რა თქმა უნდა, ისტორიული ადგილების სახე, დანიშნულება და მნიშვნელობა შენარჩუნებული უნდა იყოს, თუმცა ტყუილი პრეზენტაციებისთვისაც კი ყოვლად დაუშვებელია. ცნობილია, რომ თბილისში სოფლის მეურნეობას არ მისდევდნენ, დღეს კი იქ, სადაც აბო თბილელის გვამი დანვს, დღეს მცირე "ეთნოგრაფიული მუზეუმი" გვხვდება.

დღეს ბევრს გლობალიზაცია მსოფლიოს უპირველეს პრობლემად მიაჩნია, მას, რა თქმა უნდა, აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა კულტურის გაერთფეროვნება და ერთ საერთო სისტემაში ჩანერა (და ეს სწორედ ამის მაგალითია), მართლაც უდიდესი პრობლემაა, ეს, ალბათ, საზოგადო დეპრესიას გამოიწვევს, რადგან აღარ იარსებებს არაფერი სიახლე, ადამიანებს აღარ ექნებათ მიზეზი მოგზაურო-

ბისტვის... ამ პრობლემის თავიდან აცილება სწორედ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებით, დაცვით, მოვლა-პატრონობითა და მომავალი თაობებისთვის გადაცემითაა შესაძლებელი, ძველი ქალაქის შენარჩუნებით შევუნარჩუნებთ ჩვენს ქალაქს სახეს, თუმცა არ ვიცი ეს რამდენადაა შესაძლებელი, როდესაც მთაწმინდის მხოლოდ "ფასადილა" შემორჩენილი და მას მხატვრულ ღირებულებაზე მეტად ისტორიული დარჩა.

ძველი უბნების კიდევ ერთი მთავარი პრობლემაა ახალი მშენებლობები, ისინი თითქოს "ჭამენ" ძველ უბნებს, მაგალითად, ახლა ზემო ვერაზე, მთაზე, ძველი შენობების დანგრევის შემდეგ გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე შენდება მაღალსართულიანი კორპუსები, რაც, გარდა იმისა, რომ ანგრევს თბილისის ისტორიულ ხედს, ხელს უშლის მთაწმინდიდან წამოსული ასე თუ ისე სუფთა ჰაერის მოძრაობას და ქვემოთ ჩამოსვლას, რის გამოც შეიცვალა ჰავა განსაკუთრებით ამ ტერიტორიაზე, ეს მშენებლობები საკმაოდ საეჭვო და საშიშია, ვინაიდან მთაწმინდის ეს ნაწილი შედგება ფხვიერი, მოძრავი, არამყარი ქანებისგან, რაც მშენებლობისთვის (მითუმეტეს დიდი კონსტრუქციებისთვის) საშიშია. ვერაზე ისტორიულ სახლებთან ერთად ისტორიული ხეებიცაა (სულ 12). უნიკალური ჯიშისა და მრავლწლიანობის გამო მათ თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვთ რაც სახლებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათი ფესვები საფრთხეს უქმნის ძველი სახლების ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფ საძირკვლებს, ხოლო სახურავებს აწვება მათი მძიმე ტოტები და მათგან ჩამოცვენილი ტოტები, წინვები ან ფოთლები. მოსახლეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს ხეების ჭივბიცა და შენამფლისას შესხურებული ხნსარებიც. მერიაც არ გასცემს მისი მოჭრის ან განახლების უფლებას. ნათელია, რომ ერთი კულტურული მემკვიდრეობა ხელს უშლის მეორე კულტურული მემკვიდრეობის არსებობას. რა უნდა გააკეთოს შექმნილ ვითარებაში შესაბამისმა ორგანოებმა? აქედან გამოსავალი მრავალმილიონიანი რეაბილიტაციაა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ამ ყველაფრის ნელ-ნელა გამაგრება, რესტავრაცია, აღდგენა, მაგრამ თბილისის მერია და კულტურის სამინისტრო არც ამით იწუხებს თავს.


ნებისმიერი ნაგებობა დროთა განმავლობაში საჭიროებს შეკეთებას, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მხოლოდ რაოდენობის და ბოლო დროს თბილისის მერიის გამოცხადებული ახალი პროექტების გათვალისწინებითაც, უნდა ვიცოდეთ, რა იგულისხმება ტერმინებში:

რესტავრაცია —

1. რაიმეს პირველადი ან მასთან მიახლოებული სახით აღდგენა;
2. დროთა ვითარებაში დაზიანებული რისამე აღდგენა პირვანდელი სახით.

რეკონსტრუქცია —


1. რისამე აღდგენა გადარჩენილი ნაშთების, შემონახული აღწერების საფუძველზე;
2. რისამე ძირფესვიანი გადაკეთება, გარდაქმნა გაუმჯობესების მიზნით. (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი), როდესაც ძველის გამშვენებაზე მიდგება საუბარი, უპირველასად, უნდა გავიგოთ, რა არის ჩვენთვის მშვენება და ხომ არ კლავს ის ისტორიულობას?



Ongoings of

Old Tbilisi

in Light of the
Venice Charter



Kato Karselishvili



WHEN AND WHY is a monument granted the status of cultural heritage?



Even today, in the era of postmodernism, when we cannot even agree on the essence of aesthetics, even in today's post-postmodern age, where it's challenging to reach a consensus on the definition of aesthetics, I believe that Tbilisi, from the perspective of eclecticism, does not possess a purely aesthetic appearance, unlike a historical one. However, if we prioritize the city's organization and embellishment, will we still preservation its historical significance? Even in more recent times, when temples and palaces were damaged, their restoration undoubtedly necessary, but raises an intriguing question: Did the old architects and clients favor faithfully replicating the old or incorporating new elements?

When and why is a monument granted the status of cultural heritage? Does it serve any other purpose beyond being a commercial monument, from the cultural, historical, and civilizational perspective of the city? Should the historical-cultural part of the city be segregated from the new developments, or should it play a significant role in modern life? Does a monument maintain its "monument" status solely based on its artistic value (where "artistic" refers to its façade, aesthetics, and form without considering its content)? I believe that even artistic aspects derive their meaning, context, and purpose from their environment and era. The answers to these questions might seem straightforward, particularly when considering the Venice Charter adopted in 1964. However, in our reality, we discover that the Venice Charter exists merely as a written document, much like an excerpt from a collection of laws in an ideal Greek state model. Judging by the logic that laws exist to be violated, we see that these laws are being perfectly broken. With the ongoing processes in old Tbilisi, it becomes evident that the city and its cultural fabric are not only under threat from lawless adversaries... It is evident that the restoration of our cultural heritage is primarily driven by the intention to present it to tourists, to those who will only spend a few hours in Tbilisi, rather than catering to the permanent residents. If we carefully observe the decoration of the untouched houses, we

can witness the passion with which the city was originally built. However, today, that passion has been replaced by a desire for quick and cost-effective completion. Such an approach contradicts the third point of the Venice Charter, because through such restoration, not only do magnificent architectural masterpieces lose their cultural significance, but even more modest structures lose their historical value. The restored buildings end up being reduced to mere concepts in the realm of Plato's ideas, where it is acknowledged that a building once existed, while neglecting its authentic appearance. Naturally, as Aka Morchiladze mentions in one of his books, the city loses the spirituality it once possessed. Tbilisi's guardian angels, as he describes, reside within the cracks of the old houses, and these angels vanish with the demolition and new construction.

However, it is worth mentioning that in this particular case (I. Machabeli 13), the original decoration has been carefully preserved, allowing us to appreciate and understand the interior more effectively.

The restoration process should prioritize the preservation of the original appearance, whether it is the initial design or the face that has evolved over time. In accordance with the ninth and fifteenth articles of the Venice Charter, restoration should cease where our knowledge of the monument's previous appearance ends. An intriguing example in this regard is the Church of St. Nicholas of Narikala. The entire façade of the temple has been reconstructed based on assumptions. Only a few rows of stone remnants from the old structure remain, serving as the foundation for the new church. The architects had to take unconventional measures to illuminate the interior space, given the challenges posed by this approach and the reliance on the decorative signs found on these stones to create a new aesthetic.



The active involvement of citizens is a crucial aspect in the restoration of the old city. It raises several important issues, primarily concerning the clarification of responsibilities. A citizen is not merely a resident of the city but someone who actively shapes and contributes to the creation of their city. However, there are certain challenges that need to be considered. How can individuals without relevant knowledge undertake the restoration of a cultural monument, even if it is their own home? It is perhaps for this reason that Georgian legislation restricts individuals from carrying out repairs on cultural heritage sites. Unfortunately, neither the City Hall nor the Ministry of Culture seem to prioritize the restoration and conservation of cultural heritage, leading to detrimental consequences. Not only is valuable cultural heritage being destroyed and lost, but there is also a risk to the safety and well-being of the residents in such areas.




According to one of the points outlined in the document developed by architects and historical monument specialists (Article 1 and Article 6), the scale of a building holds significant importance as it addresses multiple concerns simultaneously. It not only determines the appropriate size of the structure but also plays a crucial role in preserving the cultural environment. A completely modern building in Sololaki, in the corner of Chonkadze street, constructed with careful consideration of its scale and architectural form (rather than solely focusing on artistic appearance), harmoniously blends into the environment. It does not disrupt the overall artistic ambiance and is almost imperceptible when standing in the shadow of the old buildings. Moreover, such a building can seamlessly integrate with nature as no trees were sacrificed during its construction. Instead, the building incorporates and surrounds the existing trees, lending it a sense of lightness and enhancing its overall compatibility with the natural surroundings.



The proper maintenance of already restored monuments holds utmost importance, as highlighted in Article 4 of the Venice Charter and Article 7 of the Washington Charter. A notable example illustrating this is Aghmashenebeli Street, where, although the restoration might not have been executed at a high level, we can observe that after a few years, the facades have started to deteriorate, become dirty, and lose their original appearance. This calls for active participation in the ongoing maintenance efforts.

While the Charter of Venice emphasizes the preservation of the appearance, purpose, and significance of historical sites, it is essential to note that a lie, even for the sake of presentation, is completely unacceptable. Tbilisi, historically, was not known for agriculture, yet today, there is a small "ethnographic museum" at the location where Abo Tbileli's body was cremated.

Globalization is often viewed as a significant concern in today's world, and it certainly has its advantages and disadvantages. One of the key concerns associated with globalization is the potential homogenization of cultures and the assimilation of diverse cultural expressions into a single system. This phenomenon, exemplified by the preservation and writing of cultural heritage into a common framework, can indeed pose challenges. It may lead to a sense of social depression as the uniqueness and novelty of different cultures diminish.



BLUE HOUSE



old balcony

Furthermore, it might reduce people's motivation to travel and explore different cultural experiences... To address this issue, it is crucial to prioritize the preservation, protection, and maintenance of cultural heritage, ensuring that it is passed down to future generations. While the façade of historical sites may hold more historical than purely artistic value, it still plays a vital role in maintaining cultural diversity and providing a connection to the past. By actively safeguarding and transmitting cultural heritage, we can mitigate the potential negative impacts of globalization and foster appreciation for the richness and variety of our world's cultures.

One of the main challenges in the old districts is the encroachment of new constructions, which appear to overshadow and consume the historic character of these areas. A clear example is the construction of high-rise buildings on Zemo Vera, on the mountain, where old buildings were demolished. This not only disrupts the historical aesthetic of Tbilisi but also hinders the flow of traffic from Mtatsminda. Furthermore, these constructions raise concerns about the movement of fresh air and the alteration of weather patterns in the area. The construction projects are particularly worrisome and unsafe due to the loose, mobile, and unstable rocks in this part of Mtatsminda, making it hazardous for large-scale structures. Apart from the historical houses, the district of Vera is also home to significant historical trees, totaling 12 in number. These trees possess immense value comparable to the houses due to their unique variety and long-standing presence. However, their roots pose a threat to the already deteriorating foundations of old houses, while their heavy branches, fallen branches, pine cones, or leaves put additional strain on roofs. The population is also exposed to risks associated with tree worms and poison ivy. Unfortunately, the City Hall does not grant permission to cut or renew these trees, creating

a dilemma where one cultural heritage impedes the preservation of another. In this situation, it is crucial for the relevant authorities to take action. The ideal solution would involve a multi-million dollar rehabilitation effort, slowly reinforcing, restoring, and preserving the cultural heritage at stake. However, both the Tbilisi City Hall and the Ministry of Culture seem to overlook these pressing issues and neglect their responsibilities. It is imperative for the authorities to address these concerns promptly and prioritize the preservation and restoration of the cultural heritage of Tbilisi's old districts.

Any building requires reparation over time, considering the mere amount of our cultural heritage and the new projects recently announced by the Tbilisi City Hall, we should know how the terms are defined:

Restoration - 1. Restoration of something in its original form or close to it; 2. Restoration of something damaged over time in its original form.

Reconstruction - 2. Restoration of something on the basis of surviving remains, preserved descriptions; 3. To fundamentally change something, transform it for the purpose of improvement (Dictionary of civic education). When it comes to the embellishment of the monument, first of all, we need to assess what beauty means for us and whether it kill the historicity.

ნიანვარი თაბერვარი მარტი

საქართველოს
ეროვნული პეიზაჟი
პეიზაჟის
არქიტექტურის
მე-18 ბიენალე

მარტო შარბერაშვილი

მომავლის ლაბორატორია - ასე ქვია 2023 წელს ვენეციის არქიტექტურის მე-18 საერთაშორისო ბიენალეს, რომლის კურატორი ლესლი ლოკო ამ დარგის პერსპექტივაზე დეკოლონიზაციის და დეკარბონიზაციის გზით საუბრობს. ვენეციის არქიტექტურის ბიენალეს საგამოფენო სტრუქტურა აერთიანებს კურატორის მთავარ გამოფენას არსენალესა და ჯარდინის სივრცეებში, კურატორის რჩეულ პროექტებს და წარმოადგენს ეროვნულ პავილიონებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. წლევანდელი ბიენალეს აქცენტი აფრიკა და აფრიკული დიასპორაა, რაც ხაზგასმულია დეკოლონიზაციის გადააზრებაზე მსჯელობასა თუ მსოფლიოს ახალ დღის წესრიგზე ფიქრისთვის. სიახლე, როგორც აუცილებელი, მაგრამ ამავედროულად გამოცდილებითი მდგომარეობა არეართი ციტატით და კონცეფციით არის ბიენალეს საგამოფენო სივრცეებში დაფიქსირებული. მათ შორის ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ფრანგი კრიტიკოსის, ანატოლ ფრანსის, ციტატა: „ყველა ცვლილებას, თუნდაც ყველაზე სანატრელს, თავისი სევდა აქვს; რადგან ის, რასაც ჩვენ უკან ვტოვებთ, ჩვენი ნაწილია; ჩვენ უნდა მოვკვდეთ ერთი სიცოცხლისთვის, სანამ მეორეში შევალთ.“(“All changes, even the most longed for, have their melancholy; for what we leave behind us is a part of ourselves; we must die to one life before we can enter another.” Anatole France).

ეს გარკვეულწილად შემამზადებელი, პრინციპული პოზიციონირებაა დღევანდელი მიღების და მომავლის ამავე დღევანდელიდან უკომპრომისოდ გააზრებისთვის. არქიტექტორი, ურბანისტი, ლანდშაფტის დიზაინერი, შემოქმედი თუ მთაბროვნი ლესლი ლოკოს განსაზღვრებით „ცვლილების აგენტია“, რომელიც უპირველესად წარმოსახვის გზით იწყებს ცვლილებაზე ფიქრს. ვიზუალური ხელოვნებისგან განსხვავებით ეს ფიქრი არქიტექტურის ბიენალეზე მეტად კონცენტრირებულად, ნაკლები აბსტრაქტულობით შეეხებოდა ისეთ კონკრეტულ საკითხებს, როგორც რესურსების ათვისება, მასალის და გარემოს ურთიერთკავშირია. კვლევა და დაკვირვება, როგორც მეთოდი წარმოადგენდა არქიტექტურას, როგორც „პროცესს“ და „მომენტს“.

აღნიშნული დაკვირვების მეთოდოლოგია, როგორც ფუნდამენტური ბაზისი ნიშანდობლივია თბილისის არქიტექტურის ბიენალეს

აქცენტი

აფრიკა



გუნდისთვის, რომელმაც ბიენალეს წლებანდელ კონცეფციასთან კავშირში პროექტი “იანვარი, თებერვალი, მარტი” წარადგინა.

“იანვარი, თებერვალი, მარტი” კრიტიკული დაკვირვების პოზიციიდან გადაიზრებს წყლის რესურსს საქართველოს ადგილობრივ კონტექსტში. სიმბოლურია რომ წყალზე გაშენებულ ვენეციაში ქართული პავილიონი ამ თემატიკას კომპლექსურად წარმოადგენს სამი მთავარი კომპონენტით: ინსტალაცია, ვიდეო, პუბლიკაცია. პროექტის სათაური დროის იმ ფრაგმენტულ მონაკვეთზე გვაფიქრებს, როდესაც დუშეთის რაიონში ჟინვალის წყალსაცავის დინების დონე იკლებს და წლის მანძილზე იქ მდებარე ჩაძირული ჯვარპატიოსანის ეკლესია კვლავ გარემოს, ბუნებრივ ლანდშაფტს „უბრუნდება“. დროებითი ხილვადობის ეს აქტი პროექტის თანაკურატორებისთვის მნიშვნელოვანი მეტაფორა აღმოჩნდა. სწორედ ეს არტეფაქტული სიმბოლო ბაზილიკის ფორმის ობიექტია საგამოფენო სივრცის მთავარი ვიზუალური აქცენტი. ინსტალაცია არამხოლოდ იდეურად, არამედ სტრუქტურითაც პირდაპირ კავშირს ავლენს ადგილთან, რამდენადაც, მიმდებარე ტერიტორიაზე მიკვლეული შლამი მასალისგან არის ნაშენი. საგამოფენო სივრცეში ნამუშევარი ინტერვენციულია და ამავდროულად ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის. სივრცის ვიზუალ-პოეტურ პლასტებს ამძაფრებს ობიექტის საკრალური მინიმალისტური ფორმა, ფერი და ჩანაფიქრში გაცხადებული სივრცული მონუმენტურობა. ეს სიმბოლიზირებული გადაწყვეტა მძაფრდება თანხლებული ვიდეო დოკუმენტაციებით. ერთ-ერთი ვიდეო აღწერს პროცესს — ჟინვალის წყალსაცავის შედეგად არსებულ გარემოს ცვლილებებზე უტყვი დაკვირვების გზით. აქ წყალთან, მის ძალასთან განმარტობით ვფიქრდებით კვლავწარმოების პროცესულ დინამიკაზე, წარმავალსა და მუდმივობას შორის გამჟღავნებულ შეუთავსებლობაზე, სიცოცხლის ციკლში ხელოვნური ჩარევის კვალზე.

მკვეთრი და გამჭოლი აქცენტით სივრცეში წარმოდგენილი მეორე ვიდეო დოკუმენტაცია იხსენებს უახლოესი წარსულის ქრონიკას, კერძოდ, ნა-





მოხვანჰესის პროტესტს. ნამოხვანის პროტესტი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სამოქალაქო დემონსტრაცია იყო, რომელიც არამხოლოდ ჰესის მშენებლობას აპროტესტებდა, არამედ მიწის გასხვიების პრეცედენტს კაბალური პირობებით, ინვესტორის მომხმარებლურ დომინაციას გარემოზე, რაც სრულად ამ მხარის გაუდაბურებას, მიკროკლიმატის და ლანდშაფტური გარემოს დაზიანებას გულისხმობდა. საპროტესტო ტალღამ და ადგილობრივი მოსახლეობის ერთუბიანმა შედეგი გამოიღო, რამდენადაც ჰესის მშენებლობისთვის დაწყებული სამუშაოები შეწყდა და ვერძო კომპანიამ დატოვა ტერიტორია.

ჰესების საკითხი და საქართველოს როგორც განვითარებადი ქვეყნის განხილვა შეჯამებულია აღნიშნული პროექტისთვის შექმნილ პუბლიკაციაში. სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი მკვლევარი განიხილავს პერიოდის ენერგოპოლიტიკას და მთელი რიგი გარემოსდაცვითი საკითხების უგულვებელყოფას, რაც დღემდე არაა აქტიურად დღის წესრიგში. მკვლევარი და პუბლიკაციის ერთ-ერთი ავტორი ალექსანდრა აროშვილი საგულისხმო პარადოქსზე საუბრობს, ვერძოდ „რესურსების წყველასა“ ე.წ. „სიუხვის პარადოქსზე“, რომელიც გულისხმობს ბუნებრივი რესურსით მდიდარ ქვეყნებში ამავე რესურსების უთანასწორო გამოყენებას. ავტორი განიხილავს საქართველოს, როგორც წყლის რესურსით მდიდარ ქვეყანას, მაგრამ მასიური ჰესების მშენებლობას პრობლემატურ საკითხად ასახელებს იმ გეოგრაფიული, სეისმური და გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებითა და მცენიერული კვლევებით გამოყარებული არგუმენტაციით, რაც შეუძლებელს ხდის აღნიშნულ გარემოში გიგანტური ჰესების მშენებლობას.

კრიტიკული ანალიზი, ჭარბი მოხმარების და არაეკოლოგიური მიდგომების შეფასება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს გამოკვეთს, მით უფრო მომავალზე სასაუბროდ. თბილისის არქიტექტურის ბიენალე თავისი დაარსებიდან დღემდე ამ ანალიზს სხვადასხვა მეთოდოლოგიითა და ერთმანეთთან დაკავშირებული კონცეფციებით იკვლევს. გამორჩეულად მნიშვნელოვანია, რომ წლევანდელი ვენე-

ციის არქიტექტურის ბიენალეზე საქართველოს ეროვნული პავილიონის პროექტად ასეთი კრიტიკული და დაკვირვებით ანალიზზე დაფუძნებული ნამუშევარი იქნა წარდგენილი, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს პერიოდში 2012 წლის შემდეგ საქართველოს არ მიუღია მონაწილეობა არც დამოუკიდებელი და არც ეროვნული პავილიონის პროექტით ვენეციის არქიტექტურის ბიენალეზე. წლევანდელ მონაწილეობაში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანად ისახება თანხვედრა წარდგენილ პროექტსა და საერთაშორისო კონტექსტს შორის. ამ ფორმატით საქართველო საერთაშორისო განსჯის, დაფიქრების და მსჯელობის იმ არეალში ექცევა, სადაც არამხოლოდ არქიტექტურული დარგის ნიშურად აქტივიზაცია, არამედ გლობალურად ეკო მიმართულებით აზროვნების და მიდგომების განვითარება ხდება. ამ პროცესში მომავალზე მსჯელობა ეფუძნება არაიერარქიულ საერთოობის განცდას, რომელიც ჯერ კიდევ 2020 წელს თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მთავარი განხილვის თემა იყო. რა განსაზღვრავს საერთოობას? მსურს ჩემი შთაბეჭდილებების გაზიარება თბილისის ბიენალეს 2020 წელს გამოცემული კატალოგის ერთერთი კვლევის ციტირებით დავასრულო: „საერთოობის პრაქტიკა შეიძლება გავიზაროთ, როგორც დინამიკური პროცესი, რომელიც არსებულს ეყრდნობა და ღია რჩება მომავალი გარდაქმნებისთვის.“ [“სოციალისტური მეკვიდრეობიდან საერთოობის ახალ კონცეფციამდე”, - ურს კუმბერგერი და ვერენა შმიდტი]. მომავალზე ფიქრის დაწყების ამგვარი პროექცია აუცილებლობითაც ვია ნაკარნახევი. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება მერყევ პოლიტიკურ კატაკლიზმებს შორის ურთულეს პროცესებს გადის. რა ზღვარს ვაღწევთ და რა რესურსს ვდებთ უკეთესი სამოქალაქო საზოგადოების შესაქმნელად, ღირსეული შრომითი პირობებისა და საცხოვრებელი გარემოსთვის საერთოობის რომელ პერსპექტივას ვაანალიზებთ? არქიტექტურა, როგორც დანიელი არქიტექტორი ბიარვე ინგელის განსაზღვრავს „პრაქტიკული პოეზია“ და „იანვარი, თებერვალი, მარტი“ ამგვარი პოეტური „გაკვეთილით“ ჩვენს გარემოსა და მიდინარე პროცესებზე ქმედითი ფიქრის ვენ გვიბძგებს.

january,
february,
march

National Pavilion of Georgia
MAY 20 — NOV 26



Mariam Shergelashvili

Georgian National Pavilion
at the
18th Venice
Architecture Biennale

Laboratory of the Future – this is the name of the 18th International Biennale of Architecture in Venice, taking place in 2023 this year. Curated by Lesley Lokko, it explores the perspective of the architectural field through the lenses of decolonization and decarbonization. The exhibition structure of the Venice Architecture Biennale encompasses the curator's main exhibition in the Arsenale and Jardin spaces, along with selected projects and national pavilions from various countries worldwide. With a special emphasis on Africa and the African diaspora, this year's biennale aims to provoke contemplation on decolonization and the new global agenda. The exhibition spaces of the Biennale capture the essence of novelty, recognizing it as both essential and experiential. This is achieved through incorporating relevant quotations and concepts into the exhibition. Among them, a particularly memorable quote for me was one from the French critic Anatole France: "All changes, even the most longed for, have their melancholy; for what we leave behind us is a part of ourselves; we must die to one life before we can enter another." To a certain degree, this represents a foundational and deliberate stance towards embracing the present and envisioning the future without compromising the current state. According to Lesley Lokko, an architect, urbanist, landscape designer, creator, or thinker is a "change agent" who primarily initiates transformation through imagination. Unlike the visual arts, the thinking process at the architecture Biennale is more focused and less abstract, delving into tangible matters such as resource utilization and the interplay between materials and the environment. The approach of research and observation, as a methodology, portrays architecture as both a continuous "process" and a significant "moment."



This observation methodology holds significant importance as the foundational framework for the Tbilisi Architecture Biennial team, who presented the project "January, February, March" in alignment with this year's Biennale concept. "January, February, March" seeks to reevaluate the local water resource within the context of Georgia through a lens of critical observation. Symbolically situated on water, the Georgian pavilion in Venice presents this theme in a multifaceted manner through three main components: installation, video, and publication. The project's title evokes thoughts of a fragmented period when the water level of the Zhinvali reservoir in the Dusheti region recedes, revealing the Jvarpatiosani church submerged beneath it, allowing it to "reintegrate" into the natural landscape. This temporary visibility serves as a significant



metaphor for the project's co-curators. The primary visual centerpiece of the exhibition space is the basilica-shaped object, an artifact imbued with symbolic meaning. The installation not only conceptualizes but also structurally establishes a direct connection to the location, as it is constructed from the sludge material sourced from the surrounding area. The work within the exhibition space is both interventionary and creates a logical progression. The visual and poetic elements of the space are intensified by the sacred minimalist form of the object, the color palette, and the spatial monumentality expressed in the concept. This symbolic approach is further amplified by the accompanying video documentation. One of the videos explores the process by observing the changes in the environment resulting from the Zhinvali reservoir. In this contemplative setting, immersed in water and its transformative power, we reflect on the dynamics of reproduction, the revealed juxtaposition between transience and permanence, and the traces of human intervention within the cycle of life.

The second video documentation exhibited within the space carries a sharp and penetrating tone, serving as a reminder of a recent chapter in history—the Namokhvanhesi protest. The Namokhvani protest stands as one of the largest civil demonstrations, protesting not only the construction of the hydroelectric power plant (HPP), but also the precedent of land alienation under unfavorable conditions, the excessive dominance of investors over the environment, leading to complete deforestation in the area, and the detrimental impact on the microclimate and landscape. The wave of protests and the determination of the local population bore fruit, as construction of the HPP was halted, and the private company withdrew from the area.

The issue of HPPs and the consideration of Georgia as a developing country are succinctly summarized in the publication crafted for



the aforementioned project. A researcher, representing various fields, delves into the energy policy of the Soviet era and the neglect of several environmental concerns that persist to this day. Alexandra Aroshvili, the researcher and one of the authors of the publication, discusses a significant paradox known as the "curse of resources." This paradox highlights the unequal utilization of the same resources in countries abundant in natural wealth. The author regards Georgia as a nation rich in water resources but views the construction of massive hydroelectric power plants as a contentious issue. This perspective takes into account the geographic, seismic, and environmental conditions, supported by scientific research, which deems the construction of colossal hydroelectric power plants unviable in such an environment.

The critical analysis and evaluation of overconsumption and non-ecological approaches shed light on crucial issues that warrant discussions about the future. The Tbilisi Architecture Biennial has consistently delved into these analyses using diverse methodologies and interconnected concepts. The



inclusion of a project based on critical analysis and observation as the Georgian National Pavilion at this year's Venice Architecture Biennale holds immense significance. It is noteworthy that since 2012, Georgia has not participated with an independent or national pavilion project at the Venice Architecture Biennale, making this year's presentation even more remarkable. The alignment of the project with the international context is particularly important, as it places Georgia within the realm of international judgment, thinking, and reasoning. This participation not only activates the architectural field but also contributes to the development of global eco-oriented thinking and approaches.

In this process, the discourse on the future is based on a sense of non-hierarchical commonality, which was a central topic of discussion at the Tbilisi Architecture Biennale in 2020. What defines commonality? I would like to finish sharing my impressions by quoting one of the studies from the publication of Tbilisi Architecture Biennale 2020: "Practices of communing can be understood as a dynamic process which build on the exciting and remain open for future transformations." ["From socialist heritage towards a new concept of commons" by Urs Kumberger and Verena Schmidt]. This forward-looking perspective is necessitated by the prevailing circumstances, particularly when our country and society navigate through challenging periods amidst fluctuating political upheavals. It prompts us to contemplate the limits we are reaching and the resources we are investing in creating a better social society. Which perspective of commonality are we analyzing for the decent working conditions and living environment? As the Danish architect Bjarke Ingels defines, architecture is "practical poetry," and "January, February, March" with its poetic "lessons" encourages us to actively reflect on our environment and ongoing processes.




All changes, even the most longed for, have their melancholy; for what we leave behind us is a part of ourselves; we must die to one life before we can enter another.

Anatole France:



ნარკოტიკები – უახლესი ინოვაციები



თბილისის არქიტექტურის არქივი

"თბილისის არქიტექტურის არქივი" არის ციფრული პლატფორმა.

taa.net.ge


საიტზე ქვეყნდება სხვადასხვა დროს საქართველოში მოღვაწე არქიტექტორთა, ინჟინერთა, მკვლევართა და ხელოვანთა ბიოგრაფიები, ფოტოები, პროექტები და სხვა ნამუშევრები. გლოსარი უამრავი სახელწოდების და ცნების ასხნა-განმარტებას შეიცავს. წელიწადში ოთხჯერ ელექტრონული ფოსტით ვრცელდება ახალი ამბების გამოშვება. პროექტის მიზანი ქართული არქიტექტურის მიმართ ცნობიერების ამაღლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და ახალი ნარატივების აღმოჩენის ხელშეწყობაა.

ამ ეტაპზე ჩვენი ყურადღების ცენტში საბჭოთა დროის არქიტექტურაა, კერძოდ კი ქართული საბჭოთა მოდერნიზმის პერიოდი. სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტების გაუქმებასთან ერთად განადგურდა მათი არქივების დიდი ნაწილი, სახე ეცვლება ან მიზანმიმართულად ინგრევა ნაშენი გარემო და ცალკეული შენობები. მათთან ერთად შეიძლება ბევრი ცნობილი არქიტექტორისა და ინჟინრის სახელიც წაიშალოს მესხიერებიდან, რადგან როცა ვეღარ ვხედავთ შენობას, ქრება ის ძაფი, რომლითაც მას ავტორის სახელთან ვაკავშირებდით. ყველა ამ ფაქტორისა და პროფესიული ლიტერატურის სიმწირის ფონზე უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ციფრული არქივის არსებობა. პროექტების სიაში გამოქვეყნებული გვაქვს რამდენიმე რადიკალურად სახეცვლილი ან დანგრეული ობიექტის მასალები, რომლებსგანაც სამშენებლო დოკუმენტაციისა და თანადროული ფოტოების გარდა არაფერი აღარ დარჩა. მათი, როგორც ეპოქისა

და არქიტექტურული სტილის ამსახველი საუკეთესო მაგალითების შენარჩუნება, ბევრად უფრო მდიდარს, მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდიდა თბილისს.

ისტორიული კონტექსტის შესწავლის საფუძველზე გვსურს გადავხედოთ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის არქიტექტურული მემკვიდრეობის როლს თანამედროვე და მომავალი განვითარების პერსპექტივაში. ამის მაგალითად შეიძლება წარმოვიდგინოთ სპორტული საწყლოსნო კომპლექსი "ლაგუნა ვერე", რომელსაც დღეს სრული განადგურების საფრთხე ემუქრება. რეაბილიტაციის შემთხვევაში, რაც ტექნიკურად უდაოდ შესაძლებელია, ამ უნიკალური ობიექტის შენარჩუნება და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მისი რეკონსტრუქცია ქალაქისთვის ბევრად დიდ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე მისი დანგრევა და გრანდიოზული დეველოპერული პროექტისთვის ადგილის გათავისუფლება. ჩვენი პუბლიკაციებით ყურადღება გვინდა მივაქციოთ ქალაქისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს.

გაფანტული დოკუმენტური მასალის მოპოვება, დაკავშირება, კვლევა და სხვადასხვა მედიის საშუალებით გასაჯაროება ზრდის არქიტექტურული კოლექციების ხელმისაწვდომობას და ამით ახალ მნიშვნელობას სძენს მათ. განსაზღვრული რაოდენობის კატალოგიზებული პროექტები ინახება ცენტრალურ და მუნიციპალურ არქივებში. ფასდაუდებელია კერძო კოლექციებში დაცული მასალებიც, რომელთა აღმოჩენა და ციფრულ ფორმატში გადაყვანა ჩვენი სამუშაოს დიდ ნაწილს მოიცავს. საერთო კულტურული მესხიერების რეკონსტრუქციის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ ამ რესურსების სრულფასოვანი გააზრება, შესწავლა და გამოქვეყნებაა.



ლაგუნა ვერე

"ლაგუნა ვერე" – დღეს მას სრული განადგურების საფრთხე ემუქრება. ამ უნიკალური ობიექტის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია ქალაქისთვის ბევრად დიდ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე მისი დანგრევა და გრანდიოზული დეველოპერული პროექტისთვის ადგილის გათავისუფლება.





“თბილისის არქიტექტურის არქივის” დამფუძნებლები არიან არქიტექტორები მარიამ გეგიძე, ნინო ჩაჩხიანი და ნათია აბასაშვილი. მისი დაარსება 2020 წლის თბილისის არქიტექტურის მეორე ბიენალეს უკავშირდება და აქ წარდგენილი პროექტებიდან ერთ-ერთია, რომელიც უკვე მესამე წელია აგრძელებს არსებობას, ვითარდება და იზრდება. ბიენალეს მხარდაჭერითვე 2023 წელს შევქმელით ჩვენი არქივის პირველი ბეჭდური გამოცემის - "ლაგუნა ვერეს" დაბეჭდვა. მისი პოვნა შეიძლება წიგნის მაღაზიებში თბილისში, ბერლინში, ვაიმარში და ვენეციაში.

ჩვენი სამუშაო დიდწილადაა დამოკიდებული პირადი არქივების მფლობელთა კეთილ ნებაზე და სურვილზე, გაგვისწან ოჯახებში შენახული მასალები, გვაჩვენონ პირადი ფოტოები, გადმოგვცენ ციფრული დოკუმენტები ან მოგვცენ მათი გაციფრულებისა და გამოქვეყნების უფლება. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ჩვენთან თანამშრომლობს და გვეხმარება საჭირო კონტაქტების დამყარებაში.

თბილისის არქიტექტურის არქივი არ უნდა წარმოიდგინოთ, როგორც საქაღალდეებით დასუნძულული თაროები - ის არის სიხარულით და მოულოდნელობებით სავსე პროცესი - დღეს შეიძლება ისევ ვინმემ მოგვწეროს, რომ ბაბუის ფოტო ალბომში რაღაც პროექტის ჩანახატები ყოფილა და ხომ არ გვანდობრესებს...



<https://taa.net.ge/en/news/>



Tbilisi Architecture Archive

The "Tbilisi Architecture Archive" Is a digital platform.

taa.net.ge

The website publishes biographies, photos, projects and other works of architects,

engineers, researchers and artists who were active in Georgia at various times. The glossary contains explanations of many names and terms. A newsletter is sent by e-mail four times a year. The goal of the project is to raise awareness of Georgian architecture, provide easier access to information, and contribute to the discovery of new narratives.

At this stage, our attention is focused on Soviet-era architecture, particularly the period of Georgian Soviet Modernism. It is important to introduce it, because with the abolition of the state architectural offices, a large part of their archives disappeared, the richest heritage was rebuilt, changed or intentionally destroyed. Along with them, the names of many famous architects and engineers can be erased from our memory, because if we can no longer see the building, the thread that connected it with the name of the creator disappears. Against the background of all these factors and the lack of professional literature, the existence of our digital archive becomes more important. In the list of projects, we have published the materials of several radically changed or destroyed structures, of which nothing remains except construction documentation and historical photos. Preserving them as the best examples of the era and architectural style, Tbilisi would have been much richer, more diverse and interesting. Based on the study of the historical context, we would like to examine the role of the architectural heritage of the second half of



the 20th century in terms of modern and future development. As an example of this, we can think of the aquatic sports complex "Laguna Vere", which today is threatened with total destruction. In case of a technically possible redevelopment, the preservation of this unique object and its reconstruction according to modern requirements is far more valuable for the city than demolishing it and making room for a grandiose development project. With our publications we would like to draw attention to important events for the city.

Locating, linking, researching scattered documentary material and disseminating it through a variety of media increases the accessibility of architectural collections and gives them new meaning. A certain number of cataloged projects are kept in the Central and City Archives. Also invaluable are the materials preserved in private collections, the discovery and recovery of which constitute a large part of our work. One of the prerequisites for the reconstruction of the common cultural memory is the comprehensive understanding, study and publication of these resources.

The founders of "Tbilisi Architecture Archive" are architects Mariam Gegidze, Nino Tchatchkhiani and Natia Abasashvili. Its launch is related to the 2nd Tbilisi Architecture Biennial in 2020 and is one of the projects presented here, which is already developing and growing in its third year. With the support of the Biennial, in 2023 we were able to publish the first print edition of our archive - "Laguna Vere". It is available in bookstores in Tbilisi, Berlin, Weimar and Venice.

<https://taa.net.ge/en/news/>


Our work depends in large part on the good will and generosity of the owners of private archives to open the materials stored in their families, to show us personal photos, to hand over digital documents, or to give us permission to digitize and publish them. We thank all those who cooperate with us and help us to establish the necessary contacts.

The Tbilisi Architecture Archive should not be imagined as shelves full of folders - it is a process full of joy and surprises - today again someone might write to us that there were sketches of a project found in his grandfather's photo album, and whether that might be interesting for us...



სრულივეტუჩონს ღაბოჩასტოჩონს
N°3





არქიტექტურა არ უნდა გაექცეს ცვლილებით გამოწვეულ სევდას, რომელიც თან სდევს თითოეულ ტრანსფორმაციას. მხოლოდ ამ შეგრძნების სიმწვავით მიიღწევა ის ტემპერატურა, რომელიც დამყოლს ხდის ფიზიკურ მატერიას და მასში ანიჭებს განსხვავებულ საგნებსა და მისწრაფებებთან, შეუღლებას შესაძლებლობას.

მომავლისადმი და ცვლილებისადმი უნდობლობა, ჩვეულის დაკარგვის შიში, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია კონფლიქტებისა, რომლითაც გაჭერებულია ატმოსფერო, როგორც გლობალური მასშტაბით ასევე ძალიან ახლო, ადამიანური კავშირების ფარგლებში.

